ПРОЛЕТАРИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 194 (19685) ◆ კვირა, 24 აგვისტო, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, საბჭოთა კავშირის პროფესიულ კავშირთა ცენტრალურმა საბჭომ და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა გაანიხილეს 1985-86 წლების ზამთრის პირიოდში პირუტყვის წარმატებით გამოზამთრებისათვის, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და შესყიდვის გადიდებისათვის გაშლილი საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგები.

აღნიშნულ საკითხზე მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ სოფლის მეურნეობისა და აგროსამრეწველო კომპლექსის სხვა დარგების მუშაკებმა, რომლებიც აქტიურად ჩაებნენ საბჭოთა საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის პარტიის მიერ დასახული კურსის პრაქტიკულ განხორციელებაში, ორგანიზებულად გამოაზამთრეს პირუტყვი, უზრუნველყვეს მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების გადიდება. მთლიანად ქვეყანაში გამოზამთრების პერიოდში ძირითადად ინტენსიური ფაქტორების გამოყენების გზით მიღწეულია ხორცის, რძის, კვერცხის წარმოების არსებითი ზრდა, დაჩქარებით შესრულდა ამ პროდუქტების შესყიდვის გეგმები. 1985 წლის ოქტომბრიდან 1986 წლის ივლისის ჩათვლით სახელმწიფო რესურსებში მიღებულია პირუტყვი და ფრინველი 3,9 პროცენტით, რძე 5,5 და კვერცხი 4,3 პროცენტით მეტი, ვიდრე წინა გამოზამთრების პერიოდში. გაიზარდა მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება საწარმოთა და ორგანიზაციათა დამხმარე სოფლის მეურნეობებში.

რუსეთის სფსრ, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ, ლიტვის სსრ, მოლდავეთის სსრ, ტაჯიკეთის სსრ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ბევრი მეურნეობის ფერმების მშრომელებმა წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის პროგრესული ფორმების, სამეურნეო ანგარიშისა და კოლექტიური იჯარის დანერგვის, წარმოების კულტურის ამაღლების, წესრიგისა და ორგანიზებულობის განმტკიცების, საკვების რაციონალური გამოყენების სიფუძველზე მიაღწიეს პირუტყვისა და ფრინველის პროდუქტიანობის ზრდას, ვადამდე შეასრულეს გეგმები და სოციალისტური ვალდებულებანი, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს სსრ კავშირის სასურსათო პროგრამის რეალიზაციაში.

პირუტყვის წარმატებულ გამოზამთრებას ხელი შეუწყო ფართოდ გაშლილმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ, ფერმების მუშაკთა გაზრდილმა შრომითმა და საზოგადოებრივმა აქტიურობამ, რაც გამოწვეული იყო სკკპ XXVII ყრილობისადმი მზადებით და ყრილობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით, აგრეთვე ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსში მართვისა და მეურნეობრიობის ეკონომიკური მექანიზმის შემდგომი სრულყოფის ღონისძიებებმ, მეცხოველეთა შრომის პირობებისადმი უურადღების გაძლიერებამ, მათი კულტურულ-საყოფაცხოვრებო, სამედიცინო და სავაჭრო მომსახურების გაუმჯობესებამ.

ამავე დროს, როგორც დადგენილებაშია აღნიშნული, პირუტყვისა და ფრინველის პროდუქტიულობის, მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებისა და შესყიდვის შემდგომი გადიდების გაზრდილი შესაძლებლობანი, ცალკეულმა კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა, რაიონულმა აგროსამრეწველო გაერთიანებებმა სრულად ვერ გამოიყენეს. გამოზამთრების პერიოდში პირუტყვისა და ფრინველის, რძისა და კვერცხის შესყიდვის გეგმის შესრულება ვერ უზრუნველყვეს უზბეკეთის სს რესპუბლიკის მეურნეობებმა. წინა ზამთრის პერიოდთან შედარებით ხორცისა და რძის წარმოებისა და შესყიდვის მოცულობა შემცირდა ბრიანსკისა და სმოლენსკის ოლქებში, იკლო პირუტყვისა და ფრინველის გაყიდვამ ყირგიზეთის სს რესპუბლიკაში, ბურიატეთის ასს რესპუბლიკაში, მორდვეთის ასს რესპუბლიკაში, ჩეჩნეთ-ინგუშეთის ასს რესპუბლიკაში, ჩუვაშეთის ასს რესპუბლიკაში, აქტიუბინსკის, ამურის, ჯეზყაზგანის, ზაპოროჟიეს, ივანოვოს, ცოსტრომის, მაგადანის, ნიკოლაევის, ორენბურგის, რიაზანის, ჩრდილოეთ ყაზახეთის, სემიპალატინსკის, ხარკოვის, ცელინოგრად.სა და ჩიტის ოლქებში, შემცირდა რძის წარმოება და გაყიდვა იაკუტიის ასს რესპუბლიკაში, ნოვგოროდის, ფსკოვის, სუმის, ტულისა და ზოგიერთ სხვა ოლქში.

მუშაობის შედეგების გაუარესება გამოწვეულია ტექნოლოგიური დისციპლინის დონის დაქვეითებით, შრომითს კოლექტივებში ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის შესუსტებით, შეჯიბრების ორგანიზაციაში არსებული ნაკლოვანებებით, იმით, რომ ჯეროვნად არ ზრუნავენ მეცხოველეობის ფერმებისა და კომპლექსების მუშაკთა დიდნაყოფიერი შრომის სათანადო პირობების შექმნისათვის.

კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ხელმძღვანელებმა და სპეციალისტებმა, რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების საბჭოებმა და აგროსამრეწველო კომიტეტებმა, პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანოებმა ღრმად და ყოველმხრივ უნდა გააანალიზონ გასული გამოზამთრების შედეგები, განახორციელონ გადაუდებელი ღონისძიებანი დაშვებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად, ყველაფერი იღონონ ხორცის, რძისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქციის წარმოებისა და შესყიდვის დასახული გეგმების უთუო შესრულებისათვის, მაღალხარისხოვანი პროდუქტების გამოშვების გადიდებისათვის.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, საბჭოთა კავშირის პროფესიულ კავშირთა ცენტრალურმა საბჭომ და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა 1985-86 წლების ზამთრის პერიოდში პირუტყვის წარმატებული გამოზამთრებისათვის, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და შესყიდვის გადიდებისათვის გაშლილ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად ცნეს და აჯილდოვეს ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის სპატიო სიგელებით დაჯილდოვეს:

ᲬᲐᲛᲘᲗ ᲨᲔᲩᲔᲠᲔᲑᲐ ᲕᲔᲠᲡᲘᲗ ᲩᲐᲛᲝᲒᲕᲐᲠᲩᲔᲜᲡ

ფოთოლი არის, რატომ არ ... ?

ᲩᲕᲘᲜᲘ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ

ᲐᲮᲚᲐ სუბტროპიკული ზონის საზოგადოებრივ მეურნეობებში ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი საკრეფად ყველგან არის შემოსული, მაგრამ კრეფის ტემპი ჯერ კიდევ დაბალია. იგი საკმარისი არ არის სახელმწიფო დავალების შესასრულებლად. არადა, ჩამორჩენა საკმაოდ დიდია. 21 აგვისტოს ჩათვლით რესპუბლიკაში სეზონის დაწყებიდან დამზადებულია 307,882 ტონა ნედლეული, შარშან ამ პერიოდთან 104.665 ტონით ნაკლები.

ამ საერთო მაჩვენებელს უკან ეწევა მახარაძის, რესპუბლიკის ერთ-ერთი წამყვანი რაიონი. მახარაძელები სეზონში გეგმით 102.400 ტონა ნედლეულს ამზადებენ, მაგრამ კრეფის სეზონის დაწყებიდან, როცა ჩაის ფოთოლი საკრეფად უხვად იყო შემოსული, უგულგილოდ, ცუდად იმუშავეს, ხელიდან გაუშვეს პლანტაციების შესაძლებლობანი და ჩამორჩნენ კიდევაც. ტემპის დაჩქარების აუცილებლობის შემჩნეული ნაკლოვანებებისა და უახლოეს ხანში მათი აღმოფხვრის შესახებ 6 ივნისს გაზეთ „კომუნისტში“ რუბრიკით „როცა თქმა სჯობს არათქმასა“ დაიბეჭდა რედიის მასალები „ფოთოლს კრეფენ, მაგრამ როგორ?“ მოსალოდნელი იყო, რომ გაზეთის კრიტიკულ შენიშვნებს რაიონში უურად იღებდნენ და ერთსულოვნად დაირაზმებოდნენ ჩამორჩენისა და შემჩნეული ნაკლოვანებების დასაძლევად. მაგრამ ეს ასე არ მოხდა, ჩამორჩენა უფრო საგრძნობი გახდა და მან 21 აგვისტოსთვის 33.636 ტონა შეადგინა. როგორც იტყვიან ხოლმე, წამით შეჩერებამ ვერსით ჩამოარჩინა მეჩაიეები.

ისიც აღსანიშნავია, რომ ხარისხის მხრივაც რესპუბლიკის საერთო მაჩვენებელზე 1,5 პროცენტით უკან არიან რაიონის მეჩაიეები. ნაზი ფრაქციის შემცველობამ დღემდე დამზადებულ 43.703 ტონა ნედლეულში 43,5 პროცენტი შეადგინა. ეს იმიტომაც, რომ ყველა ჩაის ფაბრიკა დღევანდელ მოთხოვნათა დონემდე როდი გარდაქმნის მუშაობას. აბა სხვას რას უნდა მიეწეროს ბაილეთის ჩაის ფაბრიკის მუშაობა, როცა ნედლეულში ჩაის ჯოხების, ფერმინარევის და წვრილი ნაწილაკების ზომაზე მეტი რაოდენობით შემცველობის გამო სამტრედიის ჩაის საწარმოო კომბინატმა იგი რამდენიმეჯერ უკან დაბრუნა.

ოჩამჩირის რაიონი წლეულს გეგმით 39.836 ტონა ჩაის ნედლეულს ამზადებს. 21 აგვისტოსათვის მოკრეფილია 25.526 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით დამზადებულია 6.224 ტონით ნაკლები ნედლეული. არადა, ჩაი უხვად არის შემოსული. სავალალო ისიც არის, რომ დამზადებულ ჩაის ნედლეულში ნაზი ფრაქციის შემცველობამ მხოლოდ 41,7 პროცენტი შეადგინა. რა არის ეს, თუ არა უპასუხისმგებლობა, დღევანდელობის მოთხოვნის შეუფასებლობა.

სუბტროპიკულ ზონაში საქმის ვითარება კიდევ უფრო გაუარესდა ამის გამო, რომ ბევრ რაიონში თვითდინებაზეა მიშვებული აგროტექნიკური ღონისძიებათა დაცვის, ჩაის პლანტაციების დამუშავების ტექნოლოგიის, თითოეულ შრომითს კოლექტივში საშემსრულებლო დისციპლინის მოუწესრიგებლობის, მინდობილი საქმისადმი მკაცრი მომთხოვნელობის კონტროლი.

ამ და სხვა სუბიექტური მიზეზებით ზუბდიდის რაიონში მოკრეფილია 12.999 ტონით ნაკლები ჩაის ფოთოლი, ქობულეთში 11.283, ჩხოროწყუში — 4.712, გეგეჭკორში — 3.707, გალში — 3.634, ხობში — 3.317, წალენჯიხაში — 3.125, ჩოხატაურში — 3.199, ხელვაჩაურში — 3.021, ცხაკაიაში — 2.960, ტყიბულის ზონაში — 2.243, წყალტუბოს ზონაში — 1.975, წულუკიძეში — 1.282, გულრიფშში — 1.166, გუდაუთში — 1.044 ტონით ნაკლები.

ჩამორჩენა სხვა ფაქტორებთან ერთად მნიშვნელოვნად განაპირობა იმ გარემოებამაც, რომ შემაშფოთებელი ვითარება შეიქმნა ხარისხოვანი ჩაის ფოთლის მექანიზებული კრეფის დარგში. დღემდე საზოგადოებრივი მეურნეობებისა და რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების საინჟინრო სამსახურები სერიოზულად არ ეკიდებიან ჩაის საკრეფი შობილური მანქანებისა და ხელის საკრეფი აპარატების უფრო ეფექტიან გამოყენებას, თავიდან ვერ აიცილეს მექანიზმების მოცდენა, რის გამიც შარშანდელ ამ პერიოდთან შედარებით ჩამორჩენა დიდია.

ახლა ყოველი დღე, საათი გონივრულად უნდა გამოიყენოთ ჩამორჩენის დასაძლევად. ეს არის დღეს ყველაზე პატრიოტული საქმე მეჩაიეობის რაიონების მშრომელებისათვის.

ᲕᲘᲠᲝᲑᲐ ᲥᲐᲠᲡ ᲒᲐᲐᲪᲐᲜᲔᲡ

ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘᲡ რაიონში ახლა ჩაის ფოთოლი საკრეფად უხვად არის შემოსული. მოწინავე კოლმეურნეობებში ქუდზე კაცი გამოდის. ნიგოითის საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი ნ. ფირცხალაშვილი, მთავარი აგრონომი ო. გოგუაძე) მუშებმა შემტევი ტემპით დაიწყეს ფოთლის კრეფის სეზონი, ერთი პირველთაგანი არიან რაიონში, რომლებსაც დღეისათვის არათუ გეგმა, არამედ ნაკისრი ვალდებულება 85 პროცენტით აქვთ შესრულებული, ხარისხობრივი მაჩვენებლებიც კარგი აქვთ. ნიგოეთელების პირობაა წლიური დავალება 25 სექტემბრამდე შეასრულონ.

ჩაის ფოთლის კრეფის საქმეში მოწინავეთა რიგებში დგას სოფელ ლესის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე ა. გიგინეიშვილი, პარტიული კომიტეტის მდივანი მ. ტუღეში) მეჩაიეები, რომლებიც ყოველდღიურად აძლიერებენ კრეფის ტემპს. მამაცურად შრომობენ სოფლების გულიანის, ჩიბათის, აკეთის, ჯურუყვეთისა და სხვა კოლმეურნეობათა მშრომელები.

წარმატებები მეტი იქნებოდა, რაიონის ზოგიერთი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა რომ კვლავ კუდში არ მისჩანჩალებდეს თავის მოწინავე მეზობელს, ძნარს უსწორებდეს მას. ჩოჩხათელი მეჩაიეები უკან ეწევიან რაიონის მაჩვენებლებს. შემოწმების დღისათვის აქაურ მეჩაიეებს მოკრეფილი ჰქონდათ 265 ტონამდე ფოთოლი, წლიური გეგმით გთვალისწინებული 610 ტონის ნაცვლად, და წლიური დავალება მხოლოდ 43,3 პროცენტით აქვთ შესრულებული. აქ თავის მართლება და კლიმატური პირობების მომიზეზება ფუჭია, რადგან ჩოჩხათელების მოსაზღვრე და ყურის მეზობელი გულიანის კოლმეურნეობის მკრეფავები განა იგივე პირობებში არ შრომობენ? გულიანელები კი წლიური დავალების შესრულებაში 14 პროცენტით წინ არიან ჩოჩხათელებთან შედარებით.

ჩოჩხათელმა თავკაცებმა (გამგეობის თავმჯდომარე ი. ცეცხლაძე, პარტბიუროს მდივანი კ. ზენაიშვილი) რაც შეიძლება სწრაფად უნდა დაიღწიონ თავი სამარცხვინო ჩამორჩენას. ამის საუკეთესო რეზერვებიც აქვთ და მუშახელიც სხვაზე ნაკლები არა ჰყავთ. საჭიროა საქმის ორგანიზატორული გაძღოლა.

სოფელ ღრმაღელის საბჭოთა მეურნეობამ 1170 ტონა ჩაის ფოთოლი უნდა დაამზადოს, მაგრამ როგორ? სეზონი იწურება და ღრმაღელელებს წლიური დავალება სანახევროდაც არა აქვთ შესრულებული. მეურნეობის დირექციამ (დირექტორი კ. სარჯველაძე) ადმინისტრაციული ზომები მიიღო ჩაის ფოთლის კრეფაში ჩამორჩენილი № 13, 15, 16 ბრიგადების ხელმძღვანელების ა. გოგუაძის, ზ. მახარაძის, ი. გოგუაძისა და სხვათა მიმართ, მაგრამ გეგმას ეს რას უშველის.

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲔᲑᲘ

დამაფიქრებელია, რომ ზოგიერთ საზოგადოებრივ მეურნეობაში ჩაის უხვი მოსავლისათვის ბრძოლის ამ დაძაბულ მომენტშიაც კი უფუნქციოდ ყოფენ მცირე მექანიზაციის როლს. ეს ითქმის სოფელ ეწრის კოლმეურნეობის შესახებ. კოლმეურნეობამ დიდძალი თანხა დახარჯა მცირე მექანიზაციისათვის პლანტაციებში ელექტროგაყვანილობის უზრუნველსაყოფად. შეიძინა 80 ცალი ხელის საკრეფი აპარატი, მაგრამ დღემდე 2-3 ტონა ფოთოლიც არა აქვთ მოკრეფილი, მაშინ როდესაც სეზონში ამ აპარატით 300 ტონა ნედლეულის დამზადება აქვთ დაგეგმილი. საჯაროდ უნდა ვკითხოთ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ი. კვაჭაძეს და მთავარ აგრონომს რ. ორაგველიძეს: როდის აპირებენ მცირე მექანიზაციით ჩაის ფოთლის კრეფას?

ბევრად უკეთესი მდგომარეობა არც სოფელ ნიგვზიანის კოლმეურნეობაშია (თავმჯდომარე დ. გოგუაძე, თთავარი აგრონომი ზ. აფხაზავა). ჩაის პლანტაციებში ფოთოლი უხვად არის შემოსული, კრეფის ტემპი კი ნელია. დიახ, ნიგვზიანელ მეჩაიეთა წლიური მაჩვენებლები საგრძნობლად ჩამორჩება რაიონის საშუალოს, ჩაის ფოთლის კრეფის საუკეთესო დრო ხელიდან მიდის, აქაურ მკრეფავებს კი წლიური გეგმა სანახევროდაც არა აქვთ შესრულებული (48,8 პროცენტი).

ჩაის ფოთლის უხვი მოსავლისათვის გადიდებული ვალდებულებები იკისრეს სოფლების შრომისუნარიანმა, სუფსის, ჭანჭათის, ხორგოთმიდნის კოლმეურნეობათა თავკაცებმა, ისინი ტრიბუნიდან რიხიანად აცხადებდნენ, ვალდებულებებს ვადაზე ადრე გავანაღდებთო, ახლა, როცა საქმე საქმეზე მიდგა, მათი დაპირებები სეიფებშია ჩაკეტილი. დასახელებულ კოლმეურნეობებში ჩაის ფოთლის წლიური დავალება სანახევროდაც არ არის შესრულებული.

ასეთი ჩამორჩენა არ შეშვენით ლანჩხუთელ მეჩაიეებს. იგი მალე უნდა დაძლიონ.

გ. ნოდია,
გ. ჩხაიძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტები.

ᲩᲕᲔᲜᲘ ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური კურსის მხურვალე მოწონების მკაფიო დასტური გახდა ბათუმის ვ. ი. ლენინის სახელობის მოედანზე გამართული ახალგაზრდობის მანიფესტაცია, რომლის მონაწილენი შეიკრიბნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მიერ საბჭოთა ტელევიზიით გაკეთებული განცხადების მხარდასაჭერად.

მანიფესტაციის მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა ქალაქის ყველა მშრომელისადმი.

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ. ქალაქ ბათუმის ახალგაზრდობის მრავალრიცხოვანი მანიფესტაცია.

ნ. ᲐᲜᲐᲡᲢᲐᲡᲘᲔᲕᲘᲡ ფოტო (საინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲓᲘᲕᲜᲘᲡ

მ. ს. გორბაჩოვის პასუხი

ᲐᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲘᲡ, ᲡᲐᲑᲔᲭᲓᲗᲘᲡ, ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ, ᲛᲔᲥᲡᲘᲙᲘᲡ, ᲨᲕᲔᲪᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲐᲜᲖᲐᲜᲘᲘᲡ ᲚᲘᲓᲔᲠᲗᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲖᲔ

ᲒᲐᲢᲝᲜ **ᲠᲐᲣᲚ ᲐᲚᲤᲝᲜᲡᲘᲜᲡ,**
ᲐᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ

ᲒᲐᲢᲝᲜ **ᲐᲜᲓᲠᲔᲐᲡ ᲞᲐᲞᲐᲜᲓᲠᲔᲣᲡ,**
ᲡᲐᲑᲔᲭᲓᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ,

ᲒᲐᲢᲝᲜ **ᲠᲐᲯᲘᲕ ᲒᲐᲜᲓᲘᲡ,**
ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ

ᲒᲐᲢᲝᲜ **ᲛᲘᲖᲔᲚ ᲓᲔ ᲚᲐ ᲛᲐᲓᲠᲘᲓᲘᲡ,**
ᲛᲔᲥᲡᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ

ᲒᲐᲢᲝᲜ **ᲘᲜᲒᲕᲐᲠ ᲙᲐᲠᲚᲡᲝᲜᲘ,**
ᲨᲕᲔᲪᲘᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ

ᲒᲐᲢᲝᲜ **ᲯᲣᲚᲘᲣᲡ ᲜᲘᲔᲠᲔᲠᲔ,**
ᲢᲐᲜᲖᲐᲜᲘᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ

ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲪᲔᲛᲣᲚᲝ ბატონებო!

მინდა მადლობა მოგახსენოთ 1986 წლის 7 აგვისტოს წერილისათვის, რომელშიც აყალიბებთ ახალ კონკრეტულ ინიციატივას, რომლის მიზანი ის არის, რომ მკვდარი წერტილიდან დაძრას ბირთვული ომის რისკის შემცირების საქმეში საკვანძო საკითხის — ბირთვული იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხის გადაწყვეტა.

ჩვენ სავსებით ვეთანხმებით თქვენს დეკლარაციაში გამოთქმულ რწმენას, რომ ჩვენი პლანეტის დაცვისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება ამ პლანეტაზე მცხოვრებ ყველა ხალხს, მართლაც, ამოცანა, როგორ შევინარჩუნოთ კაცობრიობის ცივილიზაცია, არ გავიმეტოთ იგი ბირთვული კატასტროფის ალში დასაფერფლავად, — ყველა სახელმწიფოს, ყველა ხალხის საერთო საქმეა. ბირთვული ომი ხომ, თუ იგი დაიწყო, ყველასა და თითოეულს შეეხება.

ვიზიარებთ იმ საბედისწერო შედეგების თქვენეულ შეფასებას, რომლებიც შეიძლება მოჰყვეს მსოფლიოში არსებული ბირთვული არსენალების თუნდაც მცირე ნაწილის გამოყენებას. მათი სრულყოფისა და შემდგომი დაგროვების პროცესი გრძელდება, რასაც ემსახურება ბირთვული იარაღის გამოცდები. აი ამიტომ ახლა არა არის რა იმაზე უფრო გადაუდებელი და მნიშვნელოვანი ამოცანა, ვიდრე ის, რომ ბოლო მოეღოს ყოველგვარ ბირთვულ გამოცდებს. ეს ღონისძიება რეალურად შეუწყობს ხელს ბირთვული არსენალების თვისებრივი და რაოდენობრივი ზრდის შეჩერებას. ამ ღონისძიებას ვუკავშირებთ უბირთვო მსოფლიოსაკენ მიმავალი მარშრუტით მოძრაობის დაწყებას.

იმისათვის, რომ შევწყვიტოთ გამოცდები, არ არსებობს სხვა შეფერხება, გარდა ზოგიერთი სახელმწიფოს პოზიციისა, რომელსაც საფუძვლად უდევს ბირთვულ კუნძებზე იმედის დამყარება, რაც მეტად სახიფათოა. ბირთვულ-კოსმოსურ ხანაში კაცობრიობის ცივილიზაციის შენარჩუნების ინტერესები დაბეჯითებით მოითხოვს ახალ პოლიტიკურ აზროვნებას. მისი საფუძველი უნდა გახდეს იმ ფაქტის შეგნება, რომ ბირთვული არსენალების ზრდა არათუ არ გაადიდებს უშიშროებას, არამედ, პირიქით, შეიძლება გადაიქცეს „ნულოვან“ უშიშროებად, ესე იგი ტოტალურ თვითგანადგურებად.

ვხელმძღვანელობთ რა კაცობრიობის ბედისათვის პასუხისმგებლობის გრძნობით, გამოვაცხადეთ ბირთვულ აფეთქებათა ცალმხრივი მორატორიუმი. და ახლა, თქვენს უმაღლესი დონის მომდევნო შეხვედრამდე მაინც შეწყვიტოთ ბირთვული გამოცდები. გვინდა გულწრფელად მოგახსენოთ, თუ რა მაღალ შეფასებას ვაძლევთ თქვენ მიერ ყველა ბირთვული გამოცდის ცალმხრივ შეწყვეტას.

როგორც მოგეხსენებათ, განვლილი ორი დღის მანძილზე გვქონდა შეხვედრა ისტანბულში (მექსიკა), რათა გვემსჯელა გზებზე, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ პროგრესს შეიარაღებისადმი კონტროლისა და განიარაღების საქმეში. დღეს მივიღეთ „მექსიკის დეკლარაცია“, რომლის ტექსტს გამოგიგზავნით ოფიციალური არხებით.

გვწამს, რომ შეგვიძლია ჩვენი წვლილი შევიტანოთ კონტროლის საქმეში. ცალკე დოკუმენტში დავსახეთ ასეთ კონტროლში ჩვენი შესაძლო მონაწილეობის ზოგიერთი კონკრეტული მიმართულება.

მიესალმებით იმ ფაქტს, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ასევე ხელშეკრულების დადების კარგ წინამძღვრებს შექმნიდა.

ჩვენი აზრით, ამ მიზანს უნდა ისახავდეს საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკება, რომელიც ჟენევაში დაიწყო ივლისის დამლეგს. ამავე პრობლემაზე მრავალმხრივი მოლაპარაკების მნიშვნელოვანი ფორუმი შეიძლება გახდეს განიარაღების კონფერენცია, თუ გაუქმდება ხელოვნური ბარიერები, რომლებიც აფერხებენ მის ეფექტიან საქმიანობას იმ ხელშეკრულების პროექტის მოსამზადებლად, რომელიც აკრძალავდა ყოველგვარ ბირთვულ აფეთქებათა მოწყობას. ვფიქრობთ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, სადაც სამ ათეულ წელზე მეტია განიხილავენ ბირთვული იარაღის გამოცდის აკრძალვის საკითხს, ჯერ არ ამოუწურავს თავისი შესაძლებლობანი მისი გადაწყვეტისათვის და ეს შესაძლებლობანი უფრო აქტიურად უნდა გამოვიყენოთ.

ჩვენი აზრით, ამ დარგში ძალისხმევა უნდა ხორციელდებოდეს ყველა მიმართულებით, ერთი მოლაპარაკება კი არ უნდა გამორიცხავდეს ან ცვლიდეს, არამედ, პირიქით, უნდა ავსებდეს მეორეს. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, საბჭოთა და ამერიკელ ექსპერტებთან ექვსი ქვეყნის ექსპერტთა შეხვედრას, რომელსაც თქვენ გვთავაზობთ, შეუძლია მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ბირთვული იარაღის გამოცდების ყოვლისმომცველი აკრძალვის მიზნის მიღწევაში, სასაბამი მისცეს ამ საკითხებზე აქტიურ საქმიან მრავალმხრივ დიალოგს. მზად ვართ საბჭოთა ექსპერტები გავგზავნოთ ასეთ შეხვედრაზე.

საბჭოთა კავშირმა უკვე განაცხადა, რომ მზად არის ისარგებლოს თქვენი წინადადებით ბირთვული გამოცდების შეწყვეტის შემოწმებაში, მათ შორის ადგილებზე ინსპექციაში, დახმარების გაწევის შესახებ, ცხადია, თუ ამას მეორე მხარეც მიიღებს. რა თქმა უნდა, სასარგებლო იქნება ერთად განვიხილოთ თქვენი ახალი წინადადებანი, გამოვძებნოთ ბირთვული გამოცდების მიუწყობლობისადმი კონტროლის პრობლემის გადაწყვეტის ურთიერთმისაღები გზები.

როგორც თქვენ მიერ მიღებული „მექსიკის დეკლარაციიდან“ ჩანს, ჩვენ ერთნაირად ვუდგებით იმ სერიოზული შედეგების შეფასებას, რომლებსაც გამოიწვევს კოსმოსური სივრცის ფადაქცევა გამალებული შეიარაღების ახალ სფეროდ. ჩვენც, ისევე როგორც თქვენ, დარწმუნებული ვართ, რომ კოსმოსი უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ მშვიდობიანი მიზნით, მთელი კაცობრიობის ინტერესებისათვის. სწორედ ეს უდევს საფუძვლად ახლახან ჩვენი ქვეყნის მიერ წამოყენებულ ინიციატივას, რომელიც ითვალისწინებს კოსმოსში გამალებული შეიარაღების თავიდან აცილებასა და მის მშვიდობიან ათვისებაში საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას. იმის კონკრეტული წინადადებანი, რომ კოსმოსი არ გახდეს სამხედრო კონფრონტაციის ასპარეზი, შევიტანეთ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ბირთვული და კოსმოსური შეიარაღების შესახებ მოლაპარაკებაზე. ჩვენ იმის მოიმხრენი ვართ, რომ განმტკიცდეს რაკეტასწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების შეზღუდვის შესახებ ხელშეკრულების რეჟიმი, რომელიც თანამედროვე პირობებში სტრატეგიული სტაბილურობის საძირკველია, რომ მთლიანად და განუხრელად იქნეს დაცული ამ უვადო დოკუმენტის ყველა დებულება. ჩვენი აზრით, დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ სსრ კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები უსწრაფესად მორიგდნენ „კოსმოს-დედამიწა“, „კოსმოს-კოსმოსი“ კლასის დამკვრელი კოსმოსური შეიარაღების აკრძალვის შესახებ, იმის შესახებ, რომ ადკრძალოს თანამგზავრსაწინააღმდეგო სისტემები და მოისპოს ასეთი საშუალებანი, რომლებიც უკვე აქვთ მხარეებს. საბჭოთა კავშირი ღია როგორც მთლიანად ამ პრობლემების მთელი კომპლექსის, გადაჭრისათვის, ისე იმ ცალკეულ მორიგებათა ძიებისათვის, რომლებიც საბოლოო ანგარიშით მიგვაღწევინებს დასახულ მიზანს — საიმედოდ გადაეუღობოთ გზა კოსმოსურ სივრცეში იარაღის გასვლას.

„მექსიკის დეკლარაციაში“ თქვენ ეხებით აგრეთვე საბჭოთა, კავშირ-ამერიკის ახალი უმაღლესი დონის შეხვედრის საკითხს. საბჭოთა კავშირი ასეთი შეხვედრის მომხრეა. მაგრამ ამ ახალმა შეხვედრამ ხელი უნდა შეუწყოს სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის ნორმალიზაციას, საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღებას, შეიარაღების შემცირების შესახებ მოლაპარაკების მიმდინარეობის დაჩქარებას. ჩვენ, მაგალითად, მზად ვიქნებოდით ასეთ შეხვედრაზე დაგვედო შეთანხმება ბირთვული გამოცდების შეწყვეტის თაობაზე. მოკლედ რომ ვთქვათ, სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელთა შეხვედრა გამსჭვალული უნდა იყოს რეალური შინაარსით. სწორედ ეს არის ენენეაში ორი ქვეყნის ხელმძღვანელთა მორიგების არსი.

დასასრულ მინდა გამოვთქვა რწმენა, რომ ჩვენი ერთობლივი მეცადინეობა გამალებული შეიარაღების ალაგმვის, ბირთვული იარაღის გამოცდის შეწყვეტისათვის საბოლოო ანგარიშით ხორცს შეესხამს კონკრეტული ღონისძიებებით, რომლებიც მიგვაღწევინებენ ამ მნიშვნელოვან მიზანს.

ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲪᲔᲛᲘᲗ

მ. ᲒᲝᲠᲑᲐᲩᲝᲕᲘ.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘ

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

(დასასრული)

გამარჯვებულად ცნეს და სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელებით დაჯილდოვეს:

200 სასოფლო რაიონი;

კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამეურნეობათშორისო და სხვა საწარმოების, სამრეწველო საწარმოთა და ორგანიზაციათა დამსმარე სოფლის მეურნეობების 1009 კოლექტივი.

აღინიშნა, რომ კარგად იმუშავეს აზერბაიჯანის სსრ, ლატვიის სსრ, სომხეთის სსრ, თურქმენეთის სსრ, კომის ასსრ, მარეთის ასსრ, აღმოსავლეთ ყაზახეთის, კალინინგრადის, კამჩატკის, კურგანის, მანგაშლაყის, მინსკის, პენზის, სახალინის, ტამბოვის, ტერნოპოლისა და ჩერნოვცის ოლქების, მთიანი ალტაის ავტონომიური ოლქის აგროსამრეწველო კომპლექსის მშრომელებმა, რომლებმაც კარგ შედეგებს მიაღწიეს 1985-86 წლების ზამთრის პერიოდში პირუტყვის წარმატებული გამოზამთრებისათვის, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და შესყიდვის გადიდებისათვის ამ პირობებში, რომლებიც გათვალისწინებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის 21 ოქტომბრის დადგენილებით, ამასთან მნი შედეგები უნდა შეჯამდეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს 1986 წლის 5 მარტის დადგენილებით განსაზღვრული წესით.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურმა კომიტეტებმა, პარტიის სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, საქალაქო და რაიონული საბჭოთა აღმასკომებმა, აგროსამრეწველო კომიტეტებმა და გაერთიანებებმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანოებმა აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოთა და ორგანიზაციათა შრომითი კოლექტივების ყურადღება უნდა მიაპყრონ იმას, რომ მაქსიმალურად გამოიყენონ თითოეული კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის, თითოეული ფერმის რეზერვები ხორცის, რძისა და სხვა პროდუქციის წარმოების გადიდებაში, შრომის ნაყოფიერების გაზრდაში, თვისებრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებაში, საწელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებაში, ყოველნაირად დაუჭირონ მხარი და განავითარონ წარმოების მოწინავეთა შრომითი ინიციატივა, რომლის მიზანია საუკეთესო საბოლოო შედეგების მიღწევა. სოციალისტური შეჯიბრების გაშლისათვის ორგანიზატორულ და მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაში იხელმძღვანელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებით, საბჭოთა კავშირის მშრომელებისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვით.

გააძლიერონ მუშაობა უხეში, წვნიანი და სხვა სახეობის საკვების დაგროვებისათვის, მთლიანად უზრუნველყონ ამ საკვებით საზოგადოებრივი მეცხოველეობა და მოქალაქეთა პირადი პირუტყვის სულადობა. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ დამზადებული საკვების შენახვის ორგანიზაციას, მისი გაფუჭებისა და დანაკარგების დაუშვებლობას, რაციონალურ გამოყენებას. განახორციელონ ღონისძიებანი, რათა დროულად მოამზადონ მეცხოველეობის სადგომები, საკვების საამქროები და საკვებდასამზადებელი ტექნიკა პირუტყვის გამოზამთრებისათვის. განსაკუთრებით იზრუნონ მეცხოველეობის მუშაკთა შრომის, ყოფისა და დასვენების სათანადო პირობების შექმნისათვის.

• • •

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, საბჭოთა კავშირის პროფესიულ კავშირთა ცენტრალურმა საბჭომ და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა მხურვალედ და გულითადად მიულოცეს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკებს — 1985-86 წლის ზამთრის პერიოდში პირუტყვის წარმატებული გამოზამთრებისათვის, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და შესყიდვის გადიდებისათვის გაწეული საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულებს, ავრეთვე ყველა მის მონაწილეს და გამოთქვეს მტკიცე რწმენა, რომ ისინი კვლავაც აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ სოციალისტურ შეჯიბრებაში, დამკვრელური მუშაობითა და შრომაში საუკეთესო მაჩვენებლებით უპასუხებენ სკკპ XXVII ყრილობის გადწყვეტილებებს.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, საკავშირო პროფსაბჭომ და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, რომლებმაც განიხილეს 1985/86 წლის ზამთრის პერიოდში პირუტყვის წარმატებული გამოზამთრებისათვის, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და შესყიდვის გადიდებისათვის მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების, ავტონომიური ოლქების, ავტონომიური ოკრუგების, რაიონების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამეურნეობათშორისო და სხვა საწარმოების, სამრეწველო საწარმოებისა და ორგანიზაციების დამზმარე სოფლის მეურნეობების საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგები, გამარჯვებულად ცნეს და სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელებით დაჯილდოვეს:

საქართველოს სსრ

რესპუბლიკაში

1. სიღნაღის რაიონი
2. ჩხოროწყუს რაიონი
3. სოფელ ლაბრის ა. ა. ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობა, აფხაზეთის ასსრ ოჩამჩირის რაიონი
4. სოფელ დიდი არაქალის ვ. ვ. კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობა, ბოგდანოვკის რაიონი
5. სოფელ ფლავის კოლმეურნეობა „ჩვენი შრომა", გორის რაიონი
6. სოფელ ვაზისუბნის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი კოლმეურნეობა, გურჯაანის რაიონი
7. სოფელ ნარაზენის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობა, ზუგდიდის რაიონი
8. ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობა, მაიაკოვსკის რაიონი
9. სოფელ ახალი ხიბულის ს. მ. კიროვის სახელობის კოლმეურნეობა, ხობის რაიონი
10. სოფელ ჭაფარიძის კოლმეურნეობა, წითელწყაროს რაიონი
11. გიორგიწმინდის შეღორეობის კომპლექსი, საგარეჯოს რაიონი
12. ქვემო ალვანის საბჭოთა მეურნეობა, ახმეტის რაიონი
13. კეთილარის მეცხოველეობის კომპლექსი, აბაშის რაიონი
14. ნაგების მეცხოველეობის სანაშენე საბჭოთა მეურნეობა. გარდაბნის რაიონი
15. წალენჯიხის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საბჭოთა მეურნეობა, წალენჯიხის რაიონი
16. ცხაკაიას სანაშენე მეფრინველეობის რეპროდუქტორი, ცხაკაიას რაიონი

აჭარის ასს რესპუბლიკაში

1. აჭარის ასსრ
2. ხულოს რაიონი

ზამთრისათვის ზაფხულში თუ არ მოვემზადეთ...

სახალხო კონტროლიორებმა დაამტკიცეს, რომ ჭიათურაში ელექტრომრიცხველების ბრუნვა ქალაქის ტრასებიდან წყლის გადინებაზე უშუალოდ არის დამოკიდებული. მათ გამოიანგარიშეს, რომ წყლის დამატებით მიწოდებისათვის ელექტროენერგიის გადახარჯვამ მარტო ზაფხულის პერიოდში 364 ათას კილოვატსაათს გადააჭარბა. თურმე, ქსელში არ განხორციელებულა სარემონტო-პროფილაქტიკური სამუშაოები, არ არის მათი შესრულების გრაფიკები. წყალსადენის სათავე ნაგებობა დაცული არ არის წვიმისა და მდნარი წყლის მოხვედრისაგან, ათი სატუმბი სადგურიდან არც ერთში არა აქვთ ელექტრომამრაგების სარეზერვო წყაროები.

არასაბარბიელო სურათია მაღაროელთა ქალაქის მეტ წილ საწარმოებში თბოენერგეტიკული რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის საქმიანობაშიც. კომეტი შემოწმებული ობიექტიდან მხოლოდ ორ ობიექტზე დასახეს დროულად შესაბამისი ღონისძიებანი, დანარჩენებში კი ეს მუშაობა დაგვიანდა ან საერთოდ არ შესრულებულა.

ПРОГЛЕМА: ГАДАЧЫЦЫЛЫ ВАРИАНТ

ФИЖРЕБИ

САЯСБОЛ ДАХЛТАН

Сагаштоа адамианебис шромиса да цховребис пиробебис განუხრელი გაუმჯობესება, საზოგადოებრივი ურთიერთობის ყველა სფეროში სოციალური სამართლიანობის პრინციპის სულ უფრო სრული განხორციელება პარტიის სოციალური პოლიტიკის ძირითადი ამოცანაა.

ცხოვრება გვარწმუნებს: სოციალური სამართლიანობა დინამიკური მოვლენაა. კაპიტალიზმის დამახასიათებელ „ლაბა ლ ურ უსამართლობათა აღმოფხვრა ჯერ კიდევ ყველაფერს როდი ნიშნავს. თურმე ჩვენს დროშიც ყოფილა საჭირო განსაკუთრებული მექანიზმი, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემდა ყურადღებით გვედევნებინა თვალი სოციალური სამართლიანობის პრინციპის ყველა შესაძლო გადახრისათვის და სწრაფად აღგვეკვეთა ისინი.

მინდა გამოვთქვა ჩემი აზრი საკითხზე, რომელიც ბევრს აინტერესებს. მოდით, ჩავუფიქრდეთ ცნობილ ფაქტს. ხორცი და ხორცეული ჩვენს კვებაანაში მოსახლეობას ორ-სამჯერ უფრო იაფად მიეყიდება, ვიდრე მისი წარმოება ჯდება. სასურსათო საქონლის მარტო ამ მუხლის მიხედვით გამოწვეული ზარალის დაფარვას სახელმწიფო ყოველწლიურად 20 მილიარდ მანეთზე მეტს ახმარს.

გავაანალიზოთ ეს სიტუაცია. ჯერ კიდევ 20 წლის წინათ, როდესაც ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით ქვეყანა სულ 41 კილოგრამ ხორცს აწარმოებდა, სერიოზულად ლაპარაკობდნენ ჭარბწარმოების შესახებ, ვინაიდან დიდი სიძნელე წარმოიშვა ამ პროდუქციის გასაღებასთან დაკავშირებით. სახელმწიფოს მისწრაფება — შრომის შედარებით მცირე ანაზღაურების პირობებში შეენარჩუნებინა სასურსათო პროდუქტების ფასები მათს ღირებულებაზე უფრო დაბალ დონეზე, ჩვენი აზრით, ისევე სამართლიანია სოციალური თვალსაზრისით, როგორც, მაგალითად, მატერიალური დახმარება და ზრუნვა მრავალშვილიანი ოჯახებისა და მცირეხელფასიანი მუშაკებისათვის.

დღეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების ვაჭრობაში მდგომარეობა ძირეულად შეიცვალა. ქალაქის მოსახლეობა, რომელიც მაღაზიაში ყიდულობს სურსათს, 20 წლის მანძილზე დაახლოებით 57 მილიონით გაიზარდა. მოსახლეობის რეალური შემოსავალი მარტო 1970-დან 1983 წლამდე 43 პროცენტით გადიდდა. თანაც, მათ შორის დიდხელფასიანთა (ოჯახის წევრზე გაანგარიშებით 100 მანეთზე მეტის მქონეთა) წილმა 1965 წლის 4 პროცენტიდან 1984 წელს 60 პროცენტს მიაღწია. ცხადია, რომ ქალაქად ხორცის მუდმივ მყიდველთა რიცხვი მკვეთრად გაიზარდა.

სერიოზული ცვლილებები მოხდა სოფლადაც. ვინაიდან სოფლის მოსახლეობის რეალური შემოსავალი ასევე სწრაფად იზრდებოდა, სოფლის მეცხოვრებმაც თავის ისტორიაში პირველად მაღაზიისაკენ მოუხშირა სიარულს. ხორცის მოხმარება სოფლად 20 წლის მანძილზე გაიზარდა. არადა პირუტყვის სულადობა პირად დამზმარე მეურნეობებში კლებულობდა. ამიტომ ხორცის ყოფილი მწარმოებლები სულ უფრო მეტად გადადიოდნენ მის მყიდველთა თანრიგში.

თვით ხორცის წარმოებასა და დამზადებაშიც მოხდა თვისებრივი ცვლილებანი. 70-იანი წლების შუახანებიდან მთელ მსოფლიოში, კერძოდ, ჩვენს ქვეყანაშიც, ფრიად გაძვირდა ენერგომატარებლები და სამრეწველო ნედლეული. ხოლო ვინაიდან თანამედროვე სოფლის მეურნეობა უდიდესი რაოდენობით მოიხმარს მრეწველობის პროდუქციას, ბუნებრივია, ეს გავლენას ახდენს პროდუქციის, უწინარესად, ხორცის თვითღირებულებაზე.

იმისათვის, რომ, კი არ შეემცირებინა, არამედ გაეიდიდებინა მისი წარმოება, სახელმწიფოს უნდა გაეზარდა კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და პირად დამზმარე მეურნეობებში გამოზრდილი პირუტყვის შესყიდვის ფასები — ჩვენს დროში ხომ მატერიალური დაინტერესება თუ არ იქნა, ძნელია გააფართოო რაიმე საქმე. სწორედ ამ ახალ პირობებში გამოაშკარავდა ძველი თეორიული პოსტულატის საეჭვო ღირებულება, რომელიც ამტკიცებს, რომ სოციალიზმის დროს სასურსათო პროდუქტების ფასები სტაბილურად დაბალი უნდა იყოს.

Гартлац, რას ნიშნავს გაყიდო მაღაზიებში ხორცი მისი წარმოების ფასზე ორ-სამჯერ უფრო იაფად? ეს ნიშნავს საყასბოს დახლებიდან გაუნაწილო მყიდველებს, ასე ვთქვათ, მათი შრომითი ხელფასის დამატებით კიდევ ზემოაღნიშნული 20 მილიარდი მანეთი. მექანზე ვის უთქვამს უარი. მაგრამ, უწინარეს ყოვლისა, ვის ხელში გადადის ეს ფული, რომელიც უფრო მოთხოვნილების მიხედვით გაიცემა, ვიდრე შრომის მიხედვით? ბუნებრივია, — იმის ხელში, ვინც მეტს ყიდულობს ხორცს. და აი, ისევე როგორც სახელმწიფო უხდის მუშაკებს მეცამეტე ხელფასს წარმოებაში საბოლოო შედეგის მიხედვით კარგი შრომისათვის, მაღაზიებშიც, ოღონდ უკვე სულ სხვაგვარი, არა შრომითი, არამედ მომხმარებლური პრინციპით, ხდება ეროვნული შემოსავლის ნაწილის მყიდველებს შორის გადანაწილება. პლუსი ნიშანი, რომლითაც სასურსათო პროდუქტების ხელოვნურად დაბალ ფასებზე ორიენტირებული სოციალური პოლიტიკა აღინიშნება, მოულოდნელად მინუსად მოგვევლინა, ვინაიდან სახელმწიფო დოტაცია ხორცზე არათანაბარზომიერად ნაწილდება.

გარდა ამისა, ხორცის გარკვეული დეფიციტის პირობებში გარდაუვალია მისი ფონდირების პრაქტიკა, ანუ ამა თუ იმ რაიონის, სოციალური ჯგუფის მოთხოვნილებათა უპირატესად, პირველ რიგში დაკმაყოფილების წესის დამყარება. სხვადასხვა ორგანიზაციათა საფონდო განაცხადების „ავტორიტეტულობის" ნაირგვარ დონეს შედეგად მოსდევს ის, რომ მშრომელთა გარკვეულ სოციალურ ჯგუფებს ხორცით ვერ „დაუსაქონლებიათ" ის ფულიც კი, რომელიც საამისოდ აქვთ განკუთვნილი. ისინი იძულებული არიან წავიდნენ ბაზარში ან სპეკულანტებთან და მეტი იხადონ, მაშინ როდესაც სხვები ნაყიდ ანტრეკოტსა [illegible] მწვადში სახელმწიფოსაგან „[illegible] ბაია" იღებენ.

Дивуйтеთ შემდეგ. ამ [illegible] ხნის წინათ ტალინის [illegible] კომბინატში გაჭირდით. გული მატკივნა იმან, რაც იქ ვნახე. კომბინატის ხელმძღვანელებმა თქვეს, რომ უკანასკნელი 20 წელიწადია მოწყობილობა აქ ფაქტობრივად არ განუახლებიათ, საწარმოო სიმძლავრენი არ გაუფართოებიათ. შრომის მძიმე პირობები კადრების დენადობას იწვევს. ორ ცვლად კი არა, ერთ ცვლად ძლივს ახერხებენ მუშაობას. ეს უარყოფითს გავლენას ახდენს ეფექტიანობაზე, საამქროთა გამტარუნარიანობაზე.

რატომ არის, რომ საწარმოში აღვილი ტექნიკური ჩამორჩენილობა სუფევს? ძნელი არ არის გასცე პასუხი ამ კითხვას. ხორკლიმბინატი ცხოვრობს არა თავისი შემოსავლით, არამედ იმ სახსრებით, რომლებსაც ბიუჯეტიდან იღებს. ამავე დროს ზემდგომი საფინანსო და საგეგმო ორგანოებიც ვერ აძლევენ ყველას ყველაფერს, რასაც მათ სთხოვენ. დღეს—და ეს პარტიის ყურადღებიც ითქვა — დგება საკითხი იმის შესახებ, რომ განვამტკიცოთ სამეურნეო ანგარიშებრივი საწყისები ეკონომიკაში, განვაეთაროთ თვითდაფინანსების პრინციპი, რათა ყოველი საწარმო თავად გამომუშავებდეს ფულს რეკონსტრუქციისა და ტექნიკური სიახლეთა დანერგვისათვის. მაგრამ მისაღებია წარმოებითი ურთიერთობის სრულყოფის ეს უაღრესად გონივრული რეცეპტი ოგივე ხორკლმბინატებისათვის?

დავბრუნდეთ ტალინში. ხორკლმბინატი ახლა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ყიდულობს ხორცს კილოგრამს საშუალოდ 2 მანეთად და 20 კაპიკად. ხოლო საცალო ვაჭრობას ხორცი ეგზავნება 1 მანეთად და 67 კაპიკად. აბა, რა მოგებაზე შეიძლება ამის შემდეგ ლაპარაკი? მეთმინებით უხდა ელოდონ, როდის შეძლებს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი რაიმეს გამოყოფას კოლექტივის საჭიროებებისათვის, და შურის თვალით უყურონ, როგორ იღებენ ამ დროს სხვა — რენტაბელურ — საწარმოებში მუშაკები დიდ პრემიებს, როგორ აშენებენ მოგების სახსრებით შავი ზღვის სანაპიროზე სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებს, როგორ აგებენ საბავშვო ბაღებს, როგორ იუჭირბესებენ შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობებს... ბუნებრივია, რომ სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამმუშავებელი მრეწველობის მუშაკები ძალზე დაინტერესებული არიან დარგის ეკონომიკური სტატუსის შეცვლით.

ახლა დავუკვირდეთ ზემოხსენებულ ციფრს — 20 მილიარდ მანეთს — მაღაზიებში ხორცის საყიდლად მოსახლეობისათვის გაწკუთვნილი დოტაციის თანხას. ეს თანხა გაიცემა ხორცის მოხმარების ახლანდელი დონის — ერთ სულ მოსახლეზე დაახლოებით 60 კილოგრამის მოხმარების პირობებში. ძნელი არ არის იმის გამოთვლა, თუ რამდენად გაიზრდება სახელმწიფოს ზარალი, როდესაც ხორცის მოხმარება მიაღწევს მეცნიერულად დასაბუთებულ ნორმებს, ანუ 78 კილოგრამს ერთ სულზე წელიწადში. გამოდის აბსურდული სიტუაცია: ახლანდელ ეკონომიკურ პირობებში სახელმწიფო არ იქნება დაინტერესებული იმით, რომ ხორცის წარმოება სწრაფად იზრდებოდეს.

Сад არის გამოსავალი? ყველაზე იოლი გადაწყვეტა, რომელიც შექმნილი სიტუაციის გაცნობისთანავე გვეცემა თვალში, თითქოს ის არის, რომ გადიდდეს სოფლის მეურნეობის დეფიციტური პროდუქტების ფასები. მაგრამ იოლი — ყოველთვის სწორს როდი ნიშნავს. უწინარეს ყოვლისა, ვთქვათ, ხორცის ფასების მექანიკურ მომატებას შედეგად მოჰყვება მოსახლეობის რეალური შემოსავლის შემცირება, ეს კი ეწინააღმდეგება პარტიის გენერალურ გეზს, რომლის მიზანია მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესება. ამას გარდა, ამჟამად მოქმედი სამეურნეო მექანიზმის ფარგლებში არა გვაქვს არავითარი გარანტია, რომ მოსახლეობის „ხორცის" ფული, რომელსაც ამ პროდუქციის ფასების მომატების შედეგად მივიღებთ, მოხმარდება სწორედ ამ სახალხო-სამეურნეო უბნის საწარმოო ბაზის მოდერნიზაციას და გაფართოებას.

შექმნილი მდგომარეობიდან, ჩემი აზრით, გამოსავალი უნდა ვეძებოთ უწინარეს ყოვლისა საწარმოო სფეროში. ესტონეთის კოლმეურნეობა „კუუსალუში" ამ ცოტა ხნის წინათ გავეცანი კოლმეურნეობის პატარა ხორკგადამუშავებელი ქარხნის დოკუმენტაციას. მისი სიმძლავრე სულ რაღაც ხუთი ათას ტონას შეადგენს. მაგრამ მომავალ საწარმოს საფუძვლად დაედო უახლესი უნარჩენო ტექნოლოგია, რომელიც შესაძლებლობას იძლევა მსოფლიოს სტანდარტების დონეზე იმუშაონ. ამას დაუმატეთ ისიც, რომ არ უხდებათ პირუტყვის შორ მანძილზე გადაყვანა. ყოველივე ამის მეოხებით ქარხანა არათუ აღარ იზარალებს, არამედ მოგებასაც მიიღებს.

ახალი საწარმოს დიდმნიშვნელოვანი თავისებურებაა ის, რომ მის აშენებას, საბოლო საწყისებად აპირებს სამი მეზობელი მეურნეობა. ალბათ, ეჭვის გაკეთებაც შეიძლება: ლოგიკური იქნებოდა ასეთი ობიექტების დაფინანსებაში ჩაგვება ავაჭრო საწარმოები და თვით ქალქის მოსახლეობა. [illegible] ეს, ყუმწვადში სახელმწიფოსაგან „[illegible] ბაია" იღებენ.

[illegible] ფორმის გამოყენების პრაქტიკა უმჯობესია [illegible] ორგანიზაციებმა [illegible] რაიონის მოსახლეობას შეუძლიათ თავიანთი ფულით იყიდონ სპეციალური ობლიგაციები. ამგვარად შეგროვებული სახსრები ხმარდება კონკრეტული ობიექტის მშენებლობას: იქნება ეს მაცივარი, პიროტყვის სასაკლაო საამქრო, ტელეფონო სადგური თუ სხვა... კრედიტორებს დათქმული ვადაში დაუბრუნებენ ვალს, თან გადაუხდიან გარკვეულ პროცენტს მისი გამოყენებისათვის. გარდა ამისა, ობლიგაციების მფლობელებს უფლება აქვთ მათ მიერ დაკრედიტებული საწარმოს პროდუქცია პირველ რიგში მიიღონ. ეს შესაძლებლობას მოგვცემს უფრო სწრაფად დავძლიოთ „ვიწრო" ადგილები ეკონომიკის ზოგიერთ უბანზე, დროულად აღმოვფხვრათ წარმოშობილი დეფიციტის მოვლენები.

ჩვენი აზრით, კარგი იქნებოდა, გამოგვეყენებინა მეგობრების პრაქტიკა იმისათვის, რომ დაგვეჩქარებინა გადამშუშავებელი მრეწველობის მოდერნიზაცია და გაფართოება. ეს განსაკუთრებით ნაყოფიერი იქნება ახლანდელ პირობებში, ვინაიდან დამზადების ახალი სისტემა, რომლის შესახებაც ლაპარაკი იყო სკკპ XXVII ყრილობაზე, ითვალისწინებს წესს, რომლის დროსაც ადგილობრივი ორგანოების განკარგულებაში დარჩება ხორცის, რძისა და სხვა პროდუქციის რესურსი.

ПОЛОНЕТОИС ПРОКУРАТУРИС МУШАКЕБИ ТБИЛИСШИ

ТБИЛИСШИ სამ დღეს იყო პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის პროკურატურის მუშაკთა დელეგაცია ამ ქვეყნის გენერალური პროკურორის იოზეფ ციტას მეთაურობით.

სტუმრებს ესაუბრნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ო. ე. ჩერქეზია და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ბ. ვ. ნიკოლსკი.

გაიმართა ავრეთვე შეხვედრა რესპუბლიკის პროკურატურის აპარატის თანამშრომლებთან, მოეწყო საპროკურორო ზედამხედველობა ყაირათიანობისადმი. მაგალითად, საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმის" მთელ რიგ ობიექტებში ჯერ კიდევ არ დაწყებული სამუშაოები თბორასებისა და საქვაბე მოწყობილობის თერმული იზოლაციისა და გაზსადენების ჰერმეტიზაციისათვის. გასული ზამთრის გაკვეთილები, როცა ამ მიზეზის გამო მაღაროელებმა გადახარჯეს სითბოს საერთო მოხმარების 10 პროცენტი, ფუჭი გამოდგა.

ზამთარი მკაცრად მოჰკითხავს იმათ, ვისაც დღემდე ვერ შეუფენია უბრალო ჭეშმარიტება: სიცივეში სითბო და სინათლე განსაკუთრებით ფასობს. და დღემდე არ გვაქვს იმის გარანტია, რომ კვლავინდებურად ქალაქში საინჟინერო კომუნიკაციებიდან გამოვარდნილი ორთქლის ნისლი არ დაფარავს ყველაფერს, რომ საწარმოო ელექტრომრიცხველებს ზედმეტ ბრუნს ვერ მოუმატებს მუქთად დახარჯული კილოვატსაათები.

ავიღოთ იგივე „ჭიათურმანგანუმის" ავტოსატრანსპორტო საამქრო: აქ ნახევარ წელიწადში იმდენი საწვავი გადახარჯეს, რომ იგი საკმაოდ ეყოფოდა ათ სატვირთო მანქანას დედამიწის გარშემო მოგზაურობისათვის. მაგრამ მანქანების სპიდომეტრების ჩვენება არ აწუხებთ მძღოლებსა და მათ უფროსებს — უპასუხისმგებლობისაგან მომთხოვნელობა მეტად ლმობიერია: მიმდინარე წლის ხუთ თვეში უყაირათო მუშაკებს დაუკავეს ვინ იცის რა მოგზაურობის დროს გამოყენებული ბენზინის ღირებულების მხოლოდ 60 პროცენტი.

მომჭირნობა? მას აქ არა თუ არ აღრიცხავენ, არამედ არც კი გეგმავენ. უფრო მეტიც, ზოგან ციფრების უბრალო მანიპულაციით ახერხებენ დასაჯელი მოვლენები გადაიქცონ წესახალისებელ სიტუაციად. აი მხოლოდ ერთი მაგალითი: დარკვეთის საშენ მასალათა საწარმოო გაერთიანებაში შარშან გადახარჯული 323 ათასი კილოვატსაათის ნაცვლად ანგარიშგებაში უჩვენეს 18 ათასი კილოვატსაათი ეკონომია. საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმის" იმავე ავტოსატრანსპორტო საამქროში კი ხელოვნურად გაადიდეს კილომეტრაჟი, თებერვალში ჩამოწერეს 238 ლტრი საწვავი.

ისმება კითხვა: როგორ იმსჯელეს უყაირათობის მრავალი თქმა-ტის გამო შესაბამისი საწარმოების პარტიულმა ორგანიზაციებმა? სამწუხაროდ, სათბობისა და ენერგიის ყაირათიანობის, მომჭირნედ ხარჯვის პრობლემები ხშირად არ ხვდება კომუნისტთა კრებების დღის წესრიგში. უკანასკნელი წლების მანძილზე ისინი საერთოდ არ განუხილავთ ქალაქის სამრეწველო კომბინატის პარტორგანიზაციაში. №8 სამშენებლო ტრესტის პარტკომმა კი ჯერ კიდევ ნოემბერში კომუნისტებს აცნობა, ზუსტაფონში ცენტრალური საქვაბე მზად არისო, სინამდვილეში კი შემოწმების მომენტში იგი... საერთოდ არ ყოფილა გადაცემული ექსპლუატაციაში.

ЗАДАЧА: ВЫБОР ВАРИАНТА

ПРИЖРЕБИ

САЯСБОЛ ДАХЛТАН

ფის ეს უაღრესად გონივრული რეცეპტი ოგივე ხორკლმბინატებისათვის?

დავბრუნდეთ ტალინში. ხორკლმბინატი ახლა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ყიდულობს ხორცს კილოგრამს საშუალოდ 2 მანეთად და 20 კაპიკად. ხოლო საცალო ვაჭრობას ხორცი ეგზავნება 1 მანეთად და 67 კაპიკად. აბა, რა მოგებაზე შეიძლება ამის შემდეგ ლაპარაკი? მეთმინებით უხდა ელოდონ, როდის შეძლებს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი რაიმეს გამოყოფას კოლექტივის საჭიროებებისათვის, და შურის თვალით უყურონ, როგორ იღებენ ამ დროს სხვა — რენტაბელურ — საწარმოებში მუშაკები დიდ პრემიებს, როგორ აშენებენ მოგების სახსრებით შავი ზღვის სანაპიროზე სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებს, როგორ აგებენ საბავშვო ბაღებს, როგორ იუჭირბესებენ შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობებს... ბუნებრივია, რომ სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამმუშავებელი მრეწველობის მუშაკები ძალზე დაინტერესებული არიან დარგის ეკონომიკური სტატუსის შეცვლით.

ახლა დავუკვირდეთ ზემოხსენებულ ციფრს — 20 მილიარდ მანეთს — მაღაზიებში ხორცის საყიდლად მოსახლეობისათვის გაწკუთვნილი დოტაციის თანხას. ეს თანხა გაიცემა ხორცის მოხმარების ახლანდელი დონის — ერთ სულ მოსახლეზე დაახლოებით 60 კილოგრამის მოხმარების პირობებში. ძნელი არ არის იმის გამოთვლა, თუ რამდენად გაიზრდება სახელმწიფოს ზარალი, როდესაც ხორცის მოხმარება მიაღწევს მეცნიერულად დასაბუთებულ ნორმებს, ანუ 78 კილოგრამს ერთ სულზე წელიწადში. გამოდის აბსურდული სიტუაცია: ახლანდელ ეკონომიკურ პირობებში სახელმწიფო არ იქნება დაინტერესებული იმით, რომ ხორცის წარმოება სწრაფად იზრდებოდეს.

Сад არის გამოსავალი? ყველაზე იოლი გადაწყვეტა, რომელიც შექმნილი სიტუაციის გაცნობისთანავე გვეცემა თვალში, თითქოს ის არის, რომ გადიდდეს სოფლის მეურნეობის დეფიციტური პროდუქტების ფასები. მაგრამ იოლი — ყოველთვის სწორს როდი ნიშნავს. უწინარეს ყოვლისა, ვთქვათ, ხორცის ფასების მექანიკურ მომატებას შედეგად მოჰყვება მოსახლეობის რეალური შემოსავლის შემცირება, ეს კი ეწინააღმდეგება პარტიის გენერალურ გეზს, რომლის მიზანია მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესება. ამას გარდა, ამჟამად მოქმედი სამეურნეო მექანიზმის ფარგლებში არა გვაქვს არავითარი გარანტია, რომ მოსახლეობის „ხორცის" ფული, რომელსაც ამ პროდუქციის ფასების მომატების შედეგად მივიღებთ, მოხმარდება სწორედ ამ სახალხო-სამეურნეო უბნის საწარმოო ბაზის მოდერნიზაციას და გაფართოებას.

შექმნილი მდგომარეობიდან, ჩემი აზრით, გამოსავალი უნდა ვეძებოთ უწინარეს ყოვლისა საწარმოო სფეროში. ესტონეთის კოლმეურნეობა „კუუსალუში" ამ ცოტა ხნის წინათ გავეცანი კოლმეურნეობის პატარა ხორკგადამუშავებელი ქარხნის დოკუმენტაციას. მისი სიმძლავრე სულ რაღაც ხუთი ათას ტონას შეადგენს. მაგრამ მომავალ საწარმოს საფუძვლად დაედო უახლესი უნარჩენო ტექნოლოგია, რომელიც შესაძლებლობას იძლევა მსოფლიოს სტანდარტების დონეზე იმუშაონ. ამას დაუმატეთ ისიც, რომ არ უხდებათ პირუტყვის შორ მანძილზე გადაყვანა. ყოველივე ამის მეოხებით ქარხანა არათუ აღარ იზარალებს, არამედ მოგებასაც მიიღებს.

ახალი საწარმოს დიდმნიშვნელოვანი თავისებურებაა ის, რომ მის აშენებას, საბოლო საწყისებად აპირებს სამი მეზობელი მეურნეობა. ალბათ, ეჭვის გაკეთებაც შეიძლება: ლოგიკური იქნებოდა ასეთი ობიექტების დაფინანსებაში ჩაგვება ავაჭრო საწარმოები და თვით ქალქის მოსახლეობა. [illegible] ეს, ყუმწვადში სახელმწიფოსაგან „[illegible] ბაია" იღებენ.

Дивуйтеთ შემდეგ. ამ [illegible] ხნის წინათ ტალინის [illegible] კომბინატში გაჭირდით. გული მატკივნა იმან, რაც იქ ვნახე. კომბინატის ხელმძღვანელებმა თქვეს, რომ უკანასკნელი 20 წელიწადია მოწყობილობა აქ ფაქტობრივად არ განუახლებიათ, საწარმოო სიმძლავრენი არ გაუფართოებიათ. შრომის მძიმე პირობები კადრების დენადობას იწვევს. ორ ცვლად კი არა, ერთ ცვლად ძლივს ახერხებენ მუშაობას. ეს უარყოფითს გავლენას ახდენს ეფექტიანობაზე, საამქროთა გამტარუნარიანობაზე.

რატომ არის, რომ საწარმოში აღვილი ტექნიკური ჩამორჩენილობა ს

ახალი ლექსები

მორის ფოცხიშვილი

აჩუქეთ ერთმანეთს ტიტები

ჩემს ცარგვალს ჩიტივით
ვაკვდები,
მიწაზე ასკილად ვჩნდები, —
აჩუქეთ ერთმანეთს მკლავები,
აჩუქეთ ერთმანეთს მხრები!

დღე დგება უტყვი და უჩვევი,
ვარდისფერ ბილიკზე ვდგები, —
აჩუქეთ ერთმანეთს ტუჩები,
გაუთბეთ ერთმანეთს ძვლები!

მივდივარ. სულ სხვა გენს
მივყვები,
გისტვენთ და გიცხადებთ
გზნებით, —
აჩუქეთ ერთმანეთს წიგნები,
აჩუქეთ ერთმანეთს გზები!

ხორხს ცხელი სიმღერით
ვიღადრავ,
ეფხიზლობ და ვჩურჩულებ:
ამენ! —
დაუთმეთ ერთმანეთს დილა და
დაუთმეთ ერთმანეთს ღამე!

გაუგეთ ერთმანეთს უკლებლივ,
ისე ვით უგებენ ხენი, —
აუვსეთ ერთმანეთს გულები
სიყრმის და სიცოცხლის
რწმენით!

აჩუქეთ ერთმანეთს ფიქრები,
აზრები, ლექსები, ხმები, —
რა მოხდა, ცეცხლივით
გიჩრებით,
რა ხდება, მზის ბილიკს
ვწყდები?!

ვთავდები და ისევ ვიწყები,
ვთრთი თოვლურ ფოთლების
თრთოლვით, —
აჩუქეთ ერთმანეთს წვიმები,
აჩუქეთ ერთმანეთს თოვლი!

თოვლისფერ დუმილით
გიტყდებით,
ელოცავთ და მიმრება ყელი, —
აჩუქეთ ერთმანეთს ტიტები,
აჩუქეთ ერთმანეთს ცრემლი!

ო, სისხლო, რა უმალ წყალდები,
ო, გულო, რა უცებ თვრები, —
აჩუქეთ ერთმანეთს თვალები,
აჩუქეთ ერთმანეთს ფრთები!

ცას შუბლზე ფიფქივით ვადნები,
ვკრთები და გიმღლავნებთ
სურვილს, —
აუნთეთ ერთმანეთს სანთლები,
გაუთბეთ ერთმანეთს სული!

აღუვსეთ ერთმანეთს ჭიქები
სინაფლით, სიზმრებით, ზმებით,
აჩუქეთ ერთმანეთს ზვირთები,
აჩუქეთ ერთმანეთს ზღვები!

მე კი ო, შენს ვარსკვლავს
ავყვები,
წავალ და... არ წავალ ნებით...
აჩუქეთ ერთმანეთს აფრები,
აჩუქეთ ერთმანეთს წლები!

სამგზავრო ჩანთით სატარებელი...

აქეთ ბაღი, იქით ყანა ბიბინა,
მესკიები, ასკილი და ბზა, —
შურმა გზაზე კატად
გადამირბინა,
შევწუხდი და...
გავაგრძელე გზა.

მზით მევსება პეშვი, როგორც
ჭინჭილა,
რა სჯობს ახლა სიმღერების
თხზვას, —
მგელს შევხვდი და ძაღლმა
შემომიღრინა,
შევშინდი და...
გავაგრძელე გზა.

ხარკი მთხოვეს, შემაწერეს
ბეგარა,
წლები გულში მიტოვებენ
ბზარს, —
სიკვდილივით სევდა შემომეყარა,
შევჩერდი და...
გავაგრძელე გზა.

დრამატურგიაც ლიტერატურაა!

საქართველოს მწერალთა ყრილობის ექო

...არის თუ არა დრამატურგია ლიტერატურა?

კითხვა ერთობ უცნაურია, იქნებ, მკრეხელურიც კი. ამთავითვე ვგრძნობ ამ ფრაზის წაკითხველი კაცის გაოცებას. განა „შეიძლება ქვეყანაში, სადაც დაიწერა დიდი დრამატურგების დავით კლდიაშვილის, შალვა დადიანის, პოლიკარპე კაკაბაძის და სხვათა პიესები, დაისვას კითხვა, რომელიც საეჭვოს გახდის დრამატურგიის კუთვნილებას „ლიტერატურისადმი?

დიახ, მკრეხელობაა, მაგრამ ეს საკითხი დღეს მაინც სერიოზულად აწუხებთ ქართულ დრამატურგთა, დრამატურგთა როგორც უფროსი, ასევე ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლებს. ასეთი კითხვა წარმოშვა ამ ჟანრისადმი გულგრილობის იმ ინერციამ, რომლებიც წლების განმავლობაში დაუწერელი კანონის ძალას ღებულობდა და დღეს გვევლინება, როგორც ლიტერატურული ტრადიცია.

მოჰრით ვიტყვი, რაც აღელვებს ჩვენს დრამატურგიას. სწორედ ის, რომ პიესა, დრამატული ჟანრის ნაწარმოები არ იბეჭდება არც ერთ ლიტერატურულ ორგანოში. თითქოს ყველამ ერთად შეკრა პირი და საქართველოში პიესას ვერ წაიკითხავთ ვერც ერთი ლიტერატურული ჟურნალის ფურცლებზე.

პიესის განხილვას, ლიტერატურულ ანალიზს თითქმის ვერ შეხვდებით ჩვენი სალიტერატურო ორგანოების ფურცლებზე.

იშვიათად, კანტი-კუნტად გამოდის დრამატურგთა კრებულები. ყველაფერი კი ამით იწყება, რომ დრამატურგია არ არის წარმოდგენილი ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების პირველ და უმთავრეს საფეხურზე, არ არის მოქცეული იმ მდინარებაში, რომელიც მწერლობის სხვა ჟანრები — სამწერლო ჟურნალებში. ეს კი ნიშნავს, რომ იგი არ არის ჩართული ლიტერატურულ პროცესში, ლიტერატურული ცხოვრების ყოველდღიურობაში, რაც ესოდენ აუცილებელია ყოველი ჟანრის არამცთუ განვითარებისათვის, არამედ სიცოცხლისუნარიანობისათვისაც კი.

მადლობის მეტი რა ითქმის ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ მიმართ — იგი გრძნობს თავის თანამომძღოა — „მნათობის“, „ცისკრის“, „განთიადის“ გულგრილობას ეროვნული კულტურის ამ ერთი მნიშვნელოვანი შენაკადისადმი და თავად ბეჭდავს პიესებს. მის მესვეურთ კარგად ესმოდათ და ესმით რომ ეს არ არის ამ ჟურნალის საქმე — პიესა ლიტერატურული ფაქტია. „საბჭოთა ხელოვნების“ ინტერესის საგანს უნდა შეადგენდეს სპექტაკლი, რომელიც ამ პიესის მიხედვით შეიქმნება, მაგრამ იგი მაინც ბეჭდავს, მაინც ელტვის ხარვეზის ამოვსებას. თუმცაღა, მოსკოვში გამოდის ჟურნალი „სოვეტსკოე ისკუსსტვო“, რომელსაც თავისი არსებობის მანძილზე ერთი პიესაც კი არ დაუბეჭდავს, და აი, დროთა განმავლობაში საქართველოში შეიქმნა ისეთი სიტუაცია, რომელიც გზას უხშობს დრამატურგიის, როგორც ლიტერატურის ჟანრის, განვითარებას. ასეთ მომენტში დგება ხოლმე ჩინებული ამინდი ლიტერატურული ხელოსნებისა და მეკონიუნქტურეებისათვის. ისინი მზად არიან შეჰქმნან არა პიესა-ლიტერატურული ნაწარმოები, არამედ პიესა ნახევარფაბრიკატი, პიესა — თეატრისათვის განკუთვნილი მასალა.

მოგეხსენებათ, თანამგზავრები მარტო ლიტერატურას არა ჰყავს, თანამგზავრები თეატრშიც ბლომად არიან. იქაც სურთ იოლად მოიპოვონ სახელი, იოლად მისწვდნენ სხვადასხვა ტიტულს. და ლიტერატურულ თანამგზაურებს, მეკონიუნქტურეებს თეატრალური თანამოაზრენი და მხარის ამბმელებიცა ჰყავთ. ყოველივე ამის გამო სადღეისოდ შექმნილია ისეთი პირობები, რომ დრამატურგიის, როგორც ჟანრის, შემდგომი ლიტერატურული განვითარების პერსპექტივა ჯანღითა და ბურუსითაა მოცული და, თუ დროულად არ იქნა მიღებული გადამჭრელი ზომები, რამდენიმე ხნის შემდეგ შესაძლოა, რთულ მდგომარეობაში აღმოვჩნდეთ. უფრო კონკრეტულად: როგორ იწყება ლექსის, მოთხრობის, რომანის, კრიტიკული სტატიის, თარგმანის, ესე იგი ლიტერატურის სხვა ჟანრების ცხოვრების გზა?

იგი მწერლის მაგიდიდან ჟურნალის რედაქციაში გადაინაცვლებს. იქ ხდება მისი პირველი ლიტერატურული შეფასება. იქ ეძლევა მას სიცოცხლის უფლება. მაშასადამე, ლიტერატურის ყოველი ჟანრი სალიტერატურო ჟურნალიდან იწყებს ცხოვრებას, ჟურნალის მეოხებით ეძლევა მას მკითხველთან ურთიერთობის საშუალება. ეს საშუალება კი ჟანრის სიცოცხლეა, რადგან ის, რაც ჩაკეტილ წრედში მოექცევა, ან მკვდარია, ან კვდება.

პიესა?

პიესას მხოლოდ სპექტაკლის მიხედვით თუ გაიცნობს ადამიანი, სხვადასხვა თეატრში კი იგი სრულიად სხვადასხვაა.

ხოლო ლიტერატურის სხვა ჟანრების საქართველოს მწერალთა ყრილობის ექო

ნრებისათვის ესოდენ ჩვეულებრივი — ჟურნალში ბეჭდვის უფლება კი პიესას წარმოეული აქვს.

ამის გასამართლებლად ისეთი არგუმენტებია მოშველიებული, რომ მისი გამომზეურება იქნებ, არც ღირდეს, მაგრამ როდემდე უნდა მალავდეს ადამიანი ჭირს?

— თქვენი პიესა რომ დავბეჭდოთ, ბევრი სხვაც მოიტანს, და რა გვეშველება?

თითქოს პიესის, რომანის, ლექსის რედაქციაში მიტანა იმას ნიშნავდეს, რომ იგი უთუოდ უნდა დაიბეჭდოს. რასაკვირველია, რედაქციებში ბევრი ნაწარმოები შედის კარგიც, საშუალოც, სუსტიც, მაგრამ რედაქციის თანამშრომლები იმიტომ არსებობენ, რომ წაიკითხონ, შეისწავლონ და შემოსული ზღვა მასალიდან დაბეჭდონ მხოლოდ ის, რაც საუკეთესოა, რაც იმსახურებს საერთო-სახალხო ინტერესს თავისი პრობლემატიკით, მხატვრული დონით, შემოქმედებითი კრიტერიუმით, რომლითაც უნდა ფასდებოდეს მხატვრული ქმნილება.

რედაქცია ზოგჯერ წამქეზებლის, შემკვეთის როლშიც გამოდის და ეს ბუნებრივია. ამით გამოიხატება ავტორებთან მისი მუშაობა, ასე შექმნილა არა ერთი და ორი საუკეთესო ნაწარმოები პოეზიაში, პროზაში. დრამატურგიაში? არა, რასაკვირველია, არა! შემოქმედებითს შეკვეთას ვიღა დაეძებს, უკვე დაწერილის მიმართ არ არის ინტერესი, როგორც ლიტერატურის ჟანრისადმი.

არის ასეთი აზრიც: კარგი პიესები რომ იყოს, დავბეჭდავთ კიდეცო. ჟურნალების, გამომცემლობების მესვეურებს ეს არგუმენტი ხშირად მოუყვანიათ.

რასაკვირველია, როცა ბეჭდვაზეა ლაპარაკი, მხოლოდ კარგი იგულისხმება. ცუდის, გამოვნების დამაკნინებლის ბეჭდვა მეორე უკიდურესობაა, მაგრამ განა არ ვიცით, რომ კარგი, მაღალი დონის ნაწარმოებები არც ეგრე იოლად იწერება, არც ეგრე იოლად მოიპოვება და მისთვის დინჯი, საგულდაგულო შრომა გვმართებს? როცა რედაქცია ისევე იმუშავებს დრამატურგთან; როგორც პოეტთან, პროზაიკოსთან, კრიტიკოსთან მუშაობს, მაშინ დროთა განმავლობაში საუკეთესოს მოთხოვნის უფლებაც გვექნება.

აღნიშნული ვითარების გამო დღეს საქართველოში დრამატურგიისათვის ექსტრემალური სიტუაციაში აღმოჩნდა.

ლიტერატურული ჟურნალები კეთესოები რომ იწერებოდეს, რაღა საჭიროა ამოდენა შრომა!

ათი საუკეთესო ლექსის, მოთხრობისა თუ რომანის მაგალითი, რასაკვირველია, ჩვენი პოეზიის, გნებავთ, პროზის დასამკიცებლად არ მომიყვანია. ეს მკრეხელობა იქნებოდა! მე მინდოდა ხაზი გამესვა ლიტერატურული პროცესის თავისებურებისათვის და აქედან გამომდინარე როგორ შეიძლება ლაპარაკი საუკეთესო პიესების თაობაზე მაშინ, როდესაც ქართულ დრამატურგიას სრულიად ელემენტარული—ლიტერატურულ პროცესში მონაწილეობის პირობებიც კი არ გააჩნია.

მნიშვნელოვანი შემოქმედებითი ღირებულების ნაწარმოებები ვერ შეიქმნება, სანამ დრამატურგია არ გახდება ლიტერატურული პროცესის მონაწილე. ამიტომ დღეს დრამატურგიით გატაცებულთ უფრო მეტს ვხედავთ, ვიდრე ნამდვილ პროფესიულ დრამატურგებს. ხოლო როცა ლიტერატურის რომელიმე ჟანრი, მით უმეტეს, ასეთი სპეციფიკური, დილეტანტის გატაცებად იქცევა და არა ცხოვრების მთავარ საქმედ, რასაკვირველია, პროფესიონალიზმზე ლაპარაკი ზედმეტია.

უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში (იქნებ მეტისაც) „ცისკარში“ მარტო ოთხი პიესა დაიბეჭდა. განა შეიძლება სტაბილური ლიტერატურული პროცესი შექმნას მხოლოდ გახმაურებულ ბეჭდვამ? რასაკვირველია, არა!

მართალია, ქართული დრამატურგიის ხვალინდელ დღეს მაინც გამოუჩნდა სუნთქვის პერსპექტივა — მხედველობაში მაქვს ახალგაზრდა დრამატურგთა ყოველწლიური სემინარი, რომელსაც რესპუბლიკის მწერალთა კავშირი, თეატრალური საზოგადოება და კულტურის სამინისტრო ატარებენ ხოლმე და რომელსაც მწერალთა კავშირის მდივანი თამაზ ჭილაძე ხელმძღვანელობს.

ბოლო ხანებში ბიჭვინთაში ყოველწლიურად იკრიბებიან ახალგაზრდა დრამატურგები, უფრო ზუსტად, როცა ეს საქმე დაიწყო, ისინი ჯერ კიდევ არ იყვნენ დრამატურგები—ეს იყო იმ ახალგაზრდა პროზაიკოსთა, პოეტთა თუ მთარგმნელთა შეკრება, რომლებსაც პიესის დაწერის სურვილი ჰქონდა, ან ის-ის იყო დაეწერათ, მაგრამ იმის გამო, რომ ჩვენში არ არსებობს დრამატურგიის სტაბილური ლიტერატურული პროცესი, თავს ისე გრძნობდნენ, როგორც ბნელ ოთახში მოხვედრილი კაცი, მათ სხვათა დრამატურგიულ დებიუტებს.

დიახ, სემინარმა უკვე გარკვეული, საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ამ ახალგაზრდების შემოქმედებითს ცხოვრებაში. დარწმუნებული ვარ, მათს კვალს სხვებიც გაჰყვებიან, კიდევ უფრო გაიზრდება და გაფართოვდება სემინარის მასშტაბი, გაიმართება პრემიერები, იქნება შემოქმედებითი სიხარული, მაგრამ ჩაივლის დღესასწაული და დადგება შრომის, ლიტერატურული ცხოვრების სადაგი დღეები, რომელშაც უნდა შეამზადოს ახალი შემოქმედებითი სიხარული, ახალი გამარჯვებები. სად, როგორ, რანაირად? ეს 12-დღიანი სემინარები, გნებავთ, მსგავსად საკავშირო სემინარებისა, 24-დღიანადაც რომ გადაკეთდეს, ამოდენა მისიას ვერ ითავებს. სემინარს თავისი ფუნქცია აქვს, თავისი ამოცანები, ლიტერატურული პროცესი კი სულ სხვაგვარად იქმნება. და ამიტომ დღეს უკვე ამ ახალგაზრდების ხვალინდელი დღეც არის საზრუნავი — შესაძლოა ისიც დავკარგოთ, რაც საღდეისოდ გვაქვს, შესაძლოა, ისიც გამოგვეცალოს ხელიდან, რაც უკვე მოვიპოვეთ, ჭეშმარიტ ლიტერატურას არასოდეს არ აკმაყოფილებდა და არც დღეს აკმაყოფილებს მოპოვებული, განკლილი. რასაკვირველია, ძალზე საინტერესო და მნიშვნელოვანია პიესის თეატრალური სიცოცხლე, მაგრამ თუ ამ ახალგაზრდობის, და არა მარტო ახალგაზრდობის, ნაწარმოებებს არ ექნა ლიტერატურული სიცოცხლე, ცხადია, ყველაფერი დაიფანტება, დაიშლება, და თუ ეს მოხდა (საამისო პირობები კი ჩანს), ძალზე გულდასაწყვეტი იქნება. რამდენადაც დიდია დრამატურგთა სემინარის მნიშვნელობა, რამდენადაც დიდ მისიას ასრულებს იგი დრამატურგთა მომავალი თაობის შემოქმედებითი აღზრდის, პროფესიონალიზმის მიღწევის საქმეში, იმდენად მეტია პასუხისმგებლობა ამ ახალგაზრდობის ლიტერატურული ბედის გამო. ამიტომაც უნდა გაფრთხილება უკვე მიღწეულს, გაკეთებულს, საერთო ლიტერატურულ ფაქტად ქცევა იმას, რაც უკვე დაძლეულია და რასაც ხვალ მოუპოვებს ეს სემინარი ქართულ მწერლობას. დრამატურგიაში მოსვლა თეატრში მოსვლით კი არ უნდა შემოიფარგლოს, არამედ ლიტერატურული აღიარება, ლიტერატურული ცხოვრება უნდა პოვონ მათს პიესებში დაბადებულმა კმირებმა.

ასეთი ცხოვრება კი მხოლოდ ლიტერატურული პრესის ფურცლებზეა შესაძლებელი.

როგორ არ უნდა გაშურდეს რუსი დრამატურგისა, რომელსაც ძალუძს თავისი პიესა დაბეჭდოს ჟურნალ „თეატრის“, ალმანახ „სოვრემენნაია დრამატურგიას“ თუ ჟურნალ „ტეატრალნაია ჟიზნის“ ფურცლებზე, ან სხვა, მომმე რესპუბლიკების დრამატურგებისა, სწორედ ლიტერატურული ჟურნალის ფურცლებზე რომ ბეჭდავენ პიესებს, რადგან საამისო სპეციალური ორგანო არ გააჩნიათ და პატარა რესპუბლიკაში იქნებ არც იყოს ესოდენ აუცილებელი ამ სპეციალური ორგანოსა თუ დამატებების შექმნა, რადგან ეს დამატებები, ეს სპეციალური ორგანო, რეზერვაციას მოგვგონებს — რაღაც განცალკევებას ლიტერატურული ოჯახისაგან, ლიტერატურის მთავარი მაგისტრალიდან განდეგილობას, იმ დამოუკიდებლობას, რომელიც საერთო ლიტერატურულ ატმოსფეროს მოგწყვეტს.

მე ძალიან მომწონს ფრაზა, რომელსაც ხშირად ამბობს ხოლმე ერთი ქართველი მწერალი: „დრამატურგიას, ისე როგორც ქალს, ორი სახლი აქვს — მამისეული და ქმრისეული, ესე იგი მწერლობა და თეატრიო“. დიახ, თეატრი მეორე კერაა დრამატურგიისა, ეს ამ ჟანრის თავისებურებაა, სპეციფიკა.

დრამატურგთა სხვადასხვა დონის, სხვადასხვა რანგის შეკრებებსა თუ შეხვედრებზე, კონფერენციებსა თუ თათბირებზე ხშირად ისმის მეორე სახლის — თეატრის მიმართ გამოთქმული საყვედური. ამ საყვედურის უმთავრესი წარმმართველი გახლავთ ის, რომ თეატრი არ გვევლინება ეროვნული დრამატურგიის პატრონად, რომ ქართული თეატრი არ ზრუნავს ეროვნული დრამატურგიის განვითარებისთვისაო და ა. შ.

ეს საყვედურები თავით ბოლომდე გამოგონილად მიმაჩნია, რადგან თეატრის ამოცანას სულაც არ წარმოადგენს დრამატურგიის განვითარებისათვის ზრუნვა. თეატრს სულ სხვა ფუნქცია აკისრია — ძალიან დიდი, მნიშვნელოვანი. იყო დრო, როდესაც დრამატურგები ზრუნავდნენ თეატრის განვითარებისათვის. დრამატურგები განსაზღვრავდნენ თეატრის იდეოლოგიას, სტილისტიკას, მთელ მის შემოქმედებით სახეს; დღეს კი მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა — ადრე თეატრი მწერლის იდეის ხორცისშემსხმელი განმასახიერებელი გახლდათ, იგი გვევლინებოდა შემსრულებლად, თეატრისათვის მწერალი კერპი იყო, ყველაფერი მას მორჩილებდა. დღეს კი, რეჟისორული თეატრის გაძლიერების ე. წ. „აგრესიული რეჟისურის“ ეპოქაში, შეიცვალა თეატრის ბუნება. მას უწინარესად აინტერესებს პრობლემა და აქედან გამომდინარე — მასალა, რომელიც რეჟისორის ინდივიდუალურ ხელწერას დაემორჩილება.

მოგვწონს ჩვენ ეს თუ არ მოგვწონს, ფაქტია, რომ რეჟისორს სპექტაკლის ტექსტუალური მასალა უფრო აინტერესებს, ვიდრე პიესა. პიესისა და სპექტაკლის კლასიკური ტრადიციული გაგებით არის იქ რაღაც ანაქრონიზმისა, მაგრამ... ისიც ხდება, რომ დღეს რეჟისორი იწყებს სპექტაკლის დადგმას და არ გააჩნია... დიახ, დიახ, მას ჯერ პიესაც არა აქვს, პიესა არც დაუწერიათ, სპექტაკლის დადგმა კი იწყება, რადგან მას აქვს მოფიქრებული პრობლემა, ამ პრობლემის გამოხატვის თეატრალური საშუალება, ამბავი, სიუჟეტი. სიტყვა კი, როგორც მხატვრული ფენომენი, მას თითქმის აღარ სჭირდება. ან თუ სჭირდება, მინიმალურად. სპექტაკლს საფუძვლად ედება თუ შეიძლება ასე ვთქვათ, სცენარი სანახაობისა და არა პიესა.

ეროვნული დრამატურგიის პატრონად, რომ ქართული თეატრი არ ზრუნავს ეროვნული დრამატურგიის განვითარებისთვისაო და ა. შ.

ეს საყვედურები თავით ბოლომდე გამოგონილად მიმაჩნია, რადგან თეატრის ამოცანას სულაც არ წარმოადგენს დრამატურგიის განვითარებისათვის ზრუნვა. თეატრს სულ სხვა ფუნქცია აკისრია — ძალიან დიდი, მნიშვნელოვანი. იყო დრო, როდესაც დრამატურგები ზრუნავდნენ თეატრის განვითარებისათვის. დრამატურგები განსაზღვრავდნენ თეატრის იდეოლოგიას, სტილისტიკას, მთელ მის შემოქმედებით სახეს; დღეს კი მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა — ადრე თეატრი მწერლის იდეის ხორცისშემსხმელი განმასახიერებელი გახლდათ, იგი გვევლინებოდა შემსრულებლად, თეატრისათვის მწერალი კერპი იყო, ყველაფერი მას მორჩილებდა. დღეს კი, რეჟისორული თეატრის გაძლიერების ე. წ. „აგრესიული რეჟისურის“ ეპოქაში, შეიცვალა თეატრის ბუნება. მას უწინარესად აინტერესებს პრობლემა და აქედან გამომდინარე — მასალა, რომელიც რეჟისორის ინდივიდუალურ ხელწერას დაემორჩილება.

მოგვწონს ჩვენ ეს თუ არ მოგვწონს, ფაქტია, რომ რეჟისორს სპექტაკლის ტექსტუალური მასალა უფრო აინტერესებს, ვიდრე პიესა. პიესისა და სპექტაკლის კლასიკური ტრადიციული გაგებით არის იქ რაღაც ანაქრონიზმისა, მაგრამ... ისიც ხდება, რომ დღეს რეჟისორი იწყებს სპექტაკლის დადგმას და არ გააჩნია... დიახ, დიახ, მას ჯერ პიესაც არა აქვს, პიესა არც დაუწერიათ, სპექტაკლის დადგმა კი იწყება, რადგან მას აქვს მოფიქრებული პრობლემა, ამ პრობლემის გამოხატვის თეატრალური საშუალება, ამბავი, სიუჟეტი. სიტყვა კი, როგორც მხატვრული ფენომენი, მას თითქმის აღარ სჭირდება. ან თუ სჭირდება, მინიმალურად. სპექტაკლს საფუძვლად ედება თუ შეიძლება ასე ვთქვათ, სცენარი სანახაობისა და არა პიესა.

დღეს თეატრმცოდნეობაში უფრო და უფრო მკვიდრდება აზრი იმის თაობაზე, რომ სპექტაკლი [illegible] ერთობ [illegible] ამ [illegible] ეფროსის „ოტელო“, მიხ. თუმანიშვილის „დონ ჟუანი“, რობერტ სტურუას „რიჩარდი“ და ა. შ. იგულისხმება რეჟისორის მიერ აღმოჩენილი, ტრანსფორმირებული, კონსტრუირებული სამყარო, რომელიც ამა თუ იმ პიესაში იღებს სათავეს. ეს არის ის, რაც მან დღეს ამ პიესაში მიიჩნია მთავარად, მნიშვნელოვნად. და მართლაც, მას შემდეგ, რაც თეატრი აღარ გვევლინება პიესის ინტერპრეტატორად, დრამატურგის როლში სხვა განზომილებაში გადათამაცვლა.

და კიდევ: განვლილ, 1984-85 წლების თეატრალურ სეზონში არც რუსთაველის და არც მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრებს არ დაუდგამთ არცერთი თანამედროვე ქართველი დრამატურგის პიესა.

მე ვფიქრობ, მწერლობისა და თეატრის ის გათიშვა, ურთიერთისშორე, რომელზეც დღეს ვლაპარაკობთ, სწორედ მაშინ დაიწყო, როცა დრამატურგია თეატრისათვის „განკუთვნილ ჟანრად მივიჩნიეთ, ლიტერატურული ორგანოდან ფეხი ამოვუკვეთეთ და ამით თეატრისთვისაც დავგმანეთ მწერლობასთან მისასვლელი გზა, რადგან თეატრი დრამატურგიით მიდიოდა მწერლობაში.

ზემოთ ახალგაზრდა დრამატურგთა სემინარზე ვწერდით. ამ სემინარმა თავის დევიზად გამოაცხადა „დრამატურგია ლიტერატურაა!“ ამ დევიზში არის რაღაც გამომწვევი — დღევანდელი დრამატურგიის ირგვლივ არსებულ პრობლემებში ჩაუხედავი კაცი უმალ წამოიძახებს: რა დევიზად ქცევა სჭირდება იმას, რაც ოდითგანვე იყო ცნობილი და აღიარებული, მაგრამ თურმე საჭირო ყოფილა!

გურამ გათიაშვილი.

ამ ზაფხულს რაჭაში ვისვენებდი, სოფელ წკადისში ვიყავი. ა. ენუქიძის სახლ-მუზეუმში ამბროლაურის რაიონის მეიერიანის მეიერიანთან მზია ლუხუტაშვილთან საუბრისას შევიტყვე, რომ სოფელ ქვემო ოლუღში ერთი ძალიან საინტერესო ოჯახი ცხოვრობს.

ბავშვის დაბადება, როგორც ყოველთვის, დიდი ბედნიერებაა; მაგრამ ის ოჯახი, სადაც ამისთანა სიხარული აღინიშნება, უკვე მეათედ, ათმაგად ბედნიერია.

ახლა, როდესაც მკითხველი უკვე მიხვდა, რაზე წარიმართება ჩვენი საუბარი, ნება მომეცით, წარმოგიდგინოთ ათი შვილის ბედნიერი დედა ნანული (ზიზიკო) კაციტაძე — თლუღის სასოფლო კლუბის გამგე: გარეგნობით იგი იმდენად ახალგაზრდად გამოიყურება, რომ ვერც დაიჯერებთ, თუ ეს ტანადი და ენერგიული ქალი ოთხი ვაჟისა და ექვსი ქალიშვილის დედაა. ყველაზე უმცროსი — ქრისტინე მხოლოდ თერთმეტი თვისაა. ყველაზე უფროსი კი — ციცინო თვრამეტი წლისა.

ნანულის მეუღლეს — იმბურგ კაციტაძეს კარგად იცნობენ ამბროლაურის რაიონში. იგი მეათე საგზაო-სამშენებლო სამართველოს მოწინავე მექანიზატორია. მან მთიანი რაჭის შრავალი საავტომობილო გზის შენებლობაში გამოიჩინა თავი. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის“ ორდენებით და მრავალი მედლით. არჩეულია პარტიის ამბროლაურის რაიონული კომიტეტის ბიუროს წევრად.

კაციტაძეების ოჯახი ცხოვრობს თავის დიდ სახლში. ეს მეგობრული და შრომისმოყვარე ოჯახია. ბავშვები ყოველთვის უვლიან და ზრუნავენ პატარებზე. ადრეული ასაკიდან ბავშვები ეხმარებიან მშობლებს საოჯახო საქმიანობაში და საკარმიდამო ნაკვეთში. ეს ნაკვეთი კი პატარა არ გეგონოთ — 2500 კვ მეტრია. ამ ნაკვეთში, რომელიც სპეციალურად გამოეყო მრავალშვილიან ოჯახს, შარშან კაციტაძეებმა 600 კილოგრამი სიმინდი და 200 კილოგრამი ლობიო მოიწიეს, საკვებით უზრუნველყვეს საოჯახო ფერმა — ძროხა, ღორი, შინაური ფრინველი.

კაციტაძეების ოჯახი კოლმეურნეობის აქტიური წევრია. მარშან მიჩენილი ნაკვეთიდან მათ სახელმწიფოს ჩააბარეს 800 კილოგრამზე მეტი სიმინდი.

ნეტავი განასათ, რა მონდომებით და მეგობრულად შრომობს კაციტაძეების „ბრიგადა“, რომელშიც შედიან 7 წლის სოსო, 9 წლის გაბრო, 12 წლის ირმა, 13 წლის ლევანი და, რა თქმა, უნდა, უფროსი ბავშვებიც: ინგა, ალიკა, ციცინო.

ამ ზაფხულს კაციტაძეების ოთხი ბავშვი ისვენებდა პიონერთა ბანაკებში.

— მე და ჩემი მეუღლე კმაყოფილი ვართ ჩვენი შვილებით, — ამბობს იმბურგ კაციტაძე. — იზრდებიან ისინი შრომისმოყვარენი და ჯანმრთელები. მათ შორის არასოდეს არ არის უთანხმოება და გაუგებრობა. შეიძლება ამიტომაც ჩვენთვის შედარებით ადვილია ათი შვილის აღზრდა.

ს. ქილაძე.

სურათზე: კაციტაძეების ოჯახი.

ავტორის ფოტო.

ათი სიხარული

ქართველ მოცეკვავეთა ტრიუმფი

სტამბოლის ცეკვის ფესტივალის კონცერტებში საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დასახურებული აკადემიური ანსამბლის მონაწილეობა ხალხური ქორეოგრაფიის ამ ტრადიციული წარმომადგენლობითი დათვალიერების მკაფიო მოვლენა გახდა. ასეთია თურქეთის პრესის ერთსულოვანი აზრი, რომელმაც დიდად შეუფასა ხელოვნება ქართულ კოლექტივს, რომელსაც ხელმძღვანელობენ სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიისა და რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი ნინო რამიშვილი და რესპუბლიკის სახალხო არტისტი თენგიზ სუხიშვილი. ქართველი მსახიობების პროგრამამ მაყურებლის უდიდესი ინტერესი და აღფრთოვანება გამოიწვია. „აქ ყოველი მოცეკვავე სოლისტია, რომელიც ფლობს ცეკვის ურთულეს ელემენტებს“, „მაყურებელს ხიბლავს უდიდესი ოსტატობა, ტემპერამენტი, დახვეწილი ტექნიკა, მოძრაობისა და რიტმის მრავალფეროვნება“, „ყოველ ცეკვაში ხალხის ცხოვრების ნაწილია“, — ასე ახასიათებენ კრიტიკოსები ანსამბლის ხელოვნებას.

თურქეთში ქართული ხელოვნების წარგზავნილთა გამოსვლები ტრიუმფით დამთავრდა. მათ კი კვლავ ელით ახალი გასტროლები პოლანდიაში, ბელგიისა და ლუქსემბურგში, ნოემბრის დამლევს კი — ინდოეთში, სადაც მოეწყობა ქართული კულტურის დღეები. (სპეციფორმი).

დროული ზარი

ფელეტონი

ლუ უგელა გახსოვს, მკითხველო? ჰო, რა ბუმი იყო ორმოცდათიან წლებში! რას არ წერდნენ ამ მაშინ ჯერ კიდევ შეუცნობ სასწაულ სიოხზე. მაგრამ ყველაზე მეტად დისერტაციებს წერდნენ — საკანდიდატოს, სადოქტოროს, — რეფერატს არავინ სჯერდებოდა.

ახლა აჯიკის დრო დამდგარა.

გაზეთებმა გვაუწყეს, რომ საქართველოს სსრ კვების მრეწველობის, თანაც საკავშირო დაბვედმდებარების, სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტს უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში თურმე აჯიკაზე კვლევა-დაკვირვებების მეტი არაფერი უკეთებია. ამიტომ, თქვენის ნებართვით, ზემოთ მოხსენებული ეს სოლიდური სამეცნიერო დაწესებულება, სოლიდური დანიშნულებითაც (საზოგადოებრივ რაციონალური გამოკვების პრობლემებს წინ რა უნდა უსწრებდეს) და კონტინგენტითაც (ავი ენები ამბობენ, აქ რვასამდე კაცი [illegible]ბოსნო) ქვემოთ სახელდებული იქნება როგორც აჯიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

ერთი კია, თუ ლუგელა მაშინ ახლად აღმოჩენილი იყო და სპეციალური ინსტიტუტი მაინც არ გაუხსნეს, რის გამოც დისერტაციებს ძირითადად მედიცინის დარგის სამეცნიერო ცენტრებში იცავდნენ, აჯიკას რა ათწლიანი კვლევა-ძიება სჭირდებოდა, როცა ისტორიკოსების პირველი ცნობები აფხაზეთი სურნელოვანი სანელებლის შესახებ სულ ცოტა ორ საუკუნეს ითვლის?

კითხვა დროულია და მასზე პასუხის გაცემას მე იმ დაწესებულებას მივთხოვდი, საიდანაც ფელეტონის ბოლოში დროული ზარი გაისმა.

მაგრამ ჯერ ბოლოში გავიდეთ.

აჯიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურაში ნამორაძეს იმგლისურში ადაკლდა ნაშანი... მაინც ჩაირიცხა!

სამეცნიერო საბჭომ გაითვალისწინა მეაჯიკეობის დარგში მისი საგანგებო დამსახურება, რამდენიმე პუბლიკაცია, ექსპერიმენტი, და „წითელ დიპლომზე“ დამთავრებულ ბაძაღუას უარი უთხრა ასპირანტურაში მიღებაზე, უმცა მის სამეცნიერო რეფერატს (პირველი თავის — „აჯიკა როგორც ასეთი“ — გადამუშავების შემდეგ) დასაბეჭდად რეკომენდაცია მისცა.

დიდი დავა და ცხარე კამათი იყო: მეცნიერთა ერთი ჯგუფი ბაძაღუაში ხედავდა ახალგაზრდა პერსპექტიულ, მომავალ თეორეტიკოსს...

ნამორაძის მომხრეები კი ზეიმობდნენ — როგორც იქნა მეცნიერებაში მიეცა გზა „პრაქტიკოსს“, და გაუგონარ მწვერვალებს უწინასწარმეტყველებდნენ ნამორაძის

ვესტნიკი

ფაქტები • მოვლენები

დიდ მეცნიერებაში ბოლოვანი მოკავშირეობა

საბჭოთა და ამერიკელი მეცნიერები აფართოებენ თანამშრომლობას ბირთვული ფიზიკისა და ატომური ენერგეტიკის დარგში. 22 აგვისტოს მოსკოვში საბჭოთა კავშირ-ამერიკის ატომური ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების დარგში თანამშრომლობის გაღრმავებული კომისიის ოთხი დღის მუშაობის შემდეგ ხელი მოაწერეს ოქმს, რომელმაც განსაზღვრა ერთობლივი გამოკვლევების თემატიკა და ვადები, სპეციალისტთა გაცვლისა და ინფორმაციის გაზიარების წესი.

— ჩვენი საბჭოთა კოლეგების საქმიანი სტუმართმოყვარეობით გამოწვეული გულწრფელი ალტაცების გარდა, — უთხრა საკვლევის კორესპონდენტს ამერიკის შეერთებული შტატების ენერგეტიკის სამინისტროს ენერგეტიკული კვლევის სამმართველოს დირექტორმა ო. ტრიველპისმა, — მოსკოვში ერთობლივი მუშაობის შედეგად ჩემი მთავარი შთაბეჭდილება ის არის, რომ ჩვენ შესანიშნავად გავისარჯეთ, გავისარჯეთ როგორც დიდ მეცნიერებაში მოღვაწე მოკავშირენი, რომლის წარმატებებზე დამოკიდებულია გარემო სამყაროს შესახებ ჩვენი ცოდნის დღევანდელი და ხვალინდელი დღე, ტექნიკისა და ტექნოლოგიის დონე.

ერთობლივი კვლევის ისეთ ტრადიციულ თემებთან ერთად, როგორიც არის მატერიის ფუნდამენტური თვისებები და მართველი თერმობირთვული სინთეზი, სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მეცნიერებმა და სპეციალისტებმა განიხილეს ატომური ენერგეტიკის ეკონომიურობის ზოგიერთი ასპექტი და ამასთან დაკავშირებით საჭიროდ მიიჩნიეს გაფართოონ მუშაობა სწრაფნეიტრონიანი სამრეწველო ენერგეტიკული რეაქტორების შესაძლებლობათა შესასწავლად.

— მაგრამ ბირთვული ენერგეტიკის არა მარტო ეკონომიურობა, არამედ მისი უსაფრთხოებაც გვაღელვებს დღეს, — ხაზგასმით აღნიშნა დირექტორმა ო. ტრიველპისმა. ამ პრობლემას პირველად განიხილავს მრგვალ მაგიდასთან ჩვენი დიდი კომისია, მაგრამ ისიც საგანებით კონკრეტულად გამოიკვეთა წინასწარი თემატიკური გეგმის სახით. ჩვენ ყოველად მადლობელი ვართ კომისიის საბჭოთა თანათავმჯდომარის დოქტორ ა. პეტროსიანცისა იმისათვის, რომ მოგვცა შესაძლებლობა გავცნობოდით დაწვრილებითს ინფორმაციას ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურში მომხდარი ავარიის მიზეზებისა და შედეგების შესახებ, რომელიც გაიგზავნა ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოში მისი წევრი ქვეყნების ტექნიკურ ექსპერტთა 25 აგვისტოს სესიაზე განსახილველად.

სსრ კავშირის მთავარკოსმოსი

22 აგვისტოს მოსკოვში ხელი მოაწერეს ოქმს „მირ"-„სოიუზ" ორბიტული სამეცნიერო კომპლექსით საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის ერთობლივი პილოტირებული კოსმოსური ფრენის მომზადებისა და 1988 წელს მოწყობის შესახებ.

ოქმს ხელს აწერენ საბჭოთა კავშირის მხრივ — სსრ კავშირის მთავარკოსმოსის უფროსი ა. ი. დუნაევი, ბულგარეთის მხრივ — ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, კოსმოსური სივრცის კვლევისა და გამოყენების ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე მ. დაკოვი. (საკ. ინ.).

მიფრინავს „კოსმოს-1771" და „კოსმოს-1772"

საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-1771".

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა ნორმალურად მუშაობს და განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას.

საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-1772".

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა ნორმალურად მუშაობს და განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას.

საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (საკ. ინ.).

სტიმულის მომცემი ნაბიჯი

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს განცხადება მორატორიუმის გამო

ჰელსინკი. მშვიდობის მსოფლიო საბჭო მიესალმება სსრ კავშირის გადაწყვეტილებას გააგრძელოს ბირთვულ აფეთქებათა ცალმხრივი მორატორიუმი, ნათქვამია მშვიდობის მსოფლიო საბჭოს განცხადებაში, რომელიც აქ გამოქვეყნდა.

მასში ხაზგასმით არის აღნიშნული ამ ნაბიჯის მნიშვნელობა, რომელიც მსოფლიოს ყველა მშვიდობისმოყვარე ადამიანს ანიჭებს სტიმულს გააორკეცონ ძალისხმევა, რათა რეალურად იქცეს საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეთანხმება ბირთვული გამოცდის შეწყვეტის შესახებ.

საბჭოთა კავშირის გადაწყვეტილება გამოხატავს ხალხთა სწრაფვას მშვიდობისადმი, რომელიც „დელის ექვსეულის" ამასწინანდელ დეკლარაციაშია გამოთქმული. ეს არის საერთაშორისო კლიმატის გასაუმჯობესებლად და საერთაშორისო ურთიერთობაში ნდობის აღსადგენად ბრძოლის ახალი ფურცელი.

გამოლებულმა შეიარაღებამ, აღნიშნულია დოკუმენტში, ძალზე ღრმად შეტოპა და მაღე შეიძლება კონტროლს აღარ დაექვემდებაროს. ჩვენ უნდა შევაჩეროთ ეს პროცესი, რომელიც კაცობრიობის ატომური ომის ხიბლარში გადაბუგვას უქადის. პოლიტიკური ლიდერები ვერ აიცდენენ პასუხისმგებლობას, თუ უგულებელყვეს დღევანდელობის რეალობებით ნაკარნახევი მშვიდობის უზრუნველყოფის მოთხოვნები.

ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია ვერ აიცდენს ისტორიის წინაშე პასუხისმგებლობას გამალებული შეიარაღების გამწვავებისათვის, და მაინც, დღეს იგი უარყოფს ყველა მოწოდებას შეცვალოს პოლიტიკა ბირთვული შეიარაღების დარგში, აღნიშნავს მშვიდობის მსოფლიო საბჭო. სსრ-იდან ერ სამხედრო უპირატესობის მიღწევას, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მოუხმირა ბირთვულ გამოცდებს, ქმნის ახალ საშიშ სახეობათა შეიარაღებას. ასეთი პოლიტიკა მსოფლიოში შეერთებული შტატების სულ უფრო მზარდ იზოლაციას იწვევს.

● გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში

გაავრცელეს „დელის ექვსეულის" დოკუმენტები

ნიუ-იორკი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გენერალური ასამბლეისა და უშიშროების საბჭოს ოფიციალურ დოკუმენტად გავრცელეს იმ წერილის ტექსტი, რომელიც 1986 წლის 7 აგვისტოს გამოუგზავნეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს მ. ს. გორბაჩოვს არგენტინის პრეზიდენტმა რაულ ალფონსინმ, საბერძნეთის პრემიერ-მინისტრმა ანდრეას პაპანდრეუმ, ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა რაჯივ განდიმ, მექსიკის პრეზიდენტმა მიგელ დე ლა მადრიდმა, ტანზანიის პირველმა პრეზიდენტმა ჯულიუს ნიერერემ და შვეიცარის პრემიერ-მინისტრმა ინგვარ კარლსონმა.

ამავე დროს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ოფიციალურ დოკუმენტად არის გავრცელებული დეკლარაცია, რომელიც 1986 წლის 7 აგვისტოს მიიღო „დელის ექვსეულმა" მექსიკის ქალაქ ისტაპალაში. გავრცელებულია აგრეთვე „დელის ექვსეულის" კონკრეტული წინადადება ბირთვული გამოცდის დაუყოვნებლივ შეწყვეტის ხელშეწყობის მიზნით შეთანხმების ღონისძიებათა შესახებ.

ინდოეთის ახალგაზრდობის მოწოდება

დელი. ჩვენ მივესალმებით საბჭოთა წინადადებას მომდინარე საუკუნის დამლევისათვის მთელ მსოფლიოში ბირთვული იარაღის სრული ლიკვიდაციის შესახებ, სსრ კავშირის ახალ სამშვიდობო ინიციატივას, რომლის მიზანია ბირთვული გამოცდების შეწყვეტა. ინდოეთის ეროვნული კონგრესის ახალგაზრდობა მოუწოდებს ამერიკის შეერთებულ შტატების პრეზიდენტს რ. რეგანს დადებითად უპასუხოს ამ ნაბიჯებს. ეს ნათქვამია ინდოეთის ეროვნული კონგრესის მმართველი პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაციის ინდოეთის დედაქალაქში გამართული ყრილობის რეზოლუციაში.

● ავსტრალია

შემოილეს პრეტორიის სანქციები წინააღმდეგ

კანბერა. ავსტრალიის პრემიერ-მინისტრმა რობერტ ჰოუკმა პარლამენტში გამოაცხადა, რომ რასისტულ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასთან ურთიერთობაში შემოღებულია მთელი რიგი სანქციები.

როგორც მან თქვა, სამხრეთ აფრიკის წარმომადგენლობებს დაუყოვნებლივ შეამცირებენ. კერძოდ, უკვე დაიხურა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სავაჭრო წარმომადგენლობა, სიდნეიში გაუუქმეს ვიზა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ვიცე-კონსულს კომერციულ საკითხებში. სიდნეიშივე უქმდება სამხრეთ აფრიკის ტურისტული ბიურო, წყდება საჰაერო მიმოსვლა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასთან.

ექვსი თვის შემდეგ, თქვა რ. ჰოუკმა, მთავრობა იმპორტიორებს მოსთხოვს შეწყვიტონ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის პროდუქციის, ურანის, ქვანახშირისა და ფოლადის შესყიდვა. სახელმწიფო შესყიდვები ამ ქვეყანაში უკვე აღარ წარმოვეს.

მოკლედ

ტელეტაიპის ლენტიდან

● **ჰარარე.** კიდევ ოთხი აფრიკელი დაიღუპა 21 აგვისტოს სამხრეთ აფრიკის სხვადასხვა რაიონში. აპარტეიდის მოწინააღმდეგეებსა და პოლიციას შორის შეტაკება მოხდა პორტ-ელიზაბეთის, დურბანისა და ოიმპლეხბურგის გარეუბნებში.

● **ბუენოს-აირესი.** ათასმა ჩილელმა მიიღო მონაწილეობა პინოჩეტის დიქტატურის დანაშაულობათა წინააღმდეგ მასობრივ საპროტესტო მანიფესტაციებში, რომლებიც გაიმართა ჩილეს დედაქალაქში. დემონსტრანტებმა მოითხოვეს პირსისსლიანი დიქტატორის დაუყოვნებლივ გადადგომა.

● **ვაშინგტონი.** შეერთებულმა შტატებმა პარასკევს მოაწყო ახატ თანამგზავრსაწინააღმდეგო სისტემის მორიგი გამოცდა. სამხედრო-საჰაერო ძალების წარმომადგენლის განცხადების თანახმად, გამოცდამ წარმატებით ჩაიარა. ეს უკვე 1984 წლის ახატის სავიაციო-სარაკეტო თანამგზავრსაწინააღმდეგო კომპლექსის მეოთხე ფრენითი გამოცდაა.

● **პარიზი.** საფრანგეთში მტკიცდება გადაწყვეტილება ებრძოლონ ახლანდელი მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ, განაცხადა რადიოსადგურ „ფრანს-ინტერისათვის" მიცემულ ინტერვიუში საფრანგეთის კომპარტიის წევრმა როლან ლარუამ. მან შეშფოთება გამოთქვა ქვეყანაში უმუშევრობის სწრაფი ზრდის გამო, რომლითაც მოცულია 3 მილიონ 200 ათასი კაცი.

● ბაერთიანებული ერების ორგანიზაციაში

გაავრცელეს „დელის ექვსეულის" დოკუმენტები

ნიუ-იორკი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გენერალური ასამბლეისა და უშიშროების საბჭოს ოფიციალურ დოკუმენტად გავრცელეს იმ წერილის ტექსტი, რომელიც 1986 წლის 7 აგვისტოს გამოუგზავნეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს მ. ს. გორბაჩოვს არგენტინის პრეზიდენტმა რაულ ალფონსინმ, საბერძნეთის პრემიერ-მინისტრმა ანდრეას პაპანდრეუმ, ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა რაჯივ განდიმ, მექსიკის პრეზიდენტმა მიგელ დე ლა მადრიდმა, ტანზანიის პირველმა

ფაქტი და კომენტარი

ერთიანობისა და შეკავშირების კურსით

ერთიანობისა და შეკავშირების კურსს ადგას ინდოჩინეთის სამი მოძმე ქვეყანა: ვიეტნამი, ლაოსი და კამპუჩია. ეს კიდევ ერთხელ დაადასტურა ამ სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების პანოიში გამართული ტრადიციული კონფერენციის შედეგებმა. მათ განიხილეს საერთაშორისო ვითარების აქტუალური საკითხები, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სიტუაცია და ამ რეგიონის მშვიდობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის ზონად გადაქცევისათვის ბრძოლის ამოცანები.

კონფერენციის დამთავრების შემდეგ გამოქვეყნებულ კომუნიკეში გამოხატულია, რომ მოძმე ქვეყნები მხურვალედ ესწრაფვიან ბირთვული ომის საფრთხის თავიდან აცილებისა და საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების შეთანხმებული კურსის შემუშავებასა და განხორციელებაში მათი აქტიური ურთიერთმოქმედების ეფექტიანობის გადიდებას. კომუნიკეში მაღალ შეფასებას აძლევენ საბჭოთა ინიციატივებს, რომლებიც ჩამოყალიბებულია ვლადივოსტოკში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მიერ წარმოთქმულ სიტყვაში და რომლებიც მიზნად ისახავენ საერთაშორისო უშიშროების ყოვლისმომცველი სისტემის შექმნას, აზიაწყნარი ოკეანის რეგიონის ყველა ხალხის თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის განვითარებას.

კონფერენციის მონაწილეებმა მთლიანად დაუჭირეს მხარი საბჭოთა კავშირის დაუცხრომელ მეცადინეობას მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროებისათვის, გამალებული ბირთვული შეიარაღების შეწყვეტისათვის, კოსმოსურ სივრცეში მისი გადატანის თავიდან აცილებისათვის ბრძოლაში.

ვიეტნამი, ლაოსი და კამპუჩია ძალ-ღონეს არ იშურებენ ამისათვის, რომ ბოლო მოუღონ აზიასა და წყნარი ოკეანის აუზში სამხედრო და პოლიტიკურ კონფრონტაციას. მათ კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ მზად არიან, გამოიყენონ ვიეტნამელი მოხალისენი კამპუჩიიდან, თუ პოლიტიკურ ასპარეზს ჩამოაშორებენ პოლპოტელთა დაჯგუფებებს და დაიწყონ მოლაპარაკება კამპუჩიის გარშემო საკითხთა მოწესრიგებისათვის.

ჰანოის კონფერენციის მონაწილეებმა კვლავ განაცხადეს, რომ მაშინაც კი, თუ კამპუჩიის პრობლემის პოლიტიკური მოწესრიგება არ იქნება მიღწეული, კამპუჩიიდან ვიეტნამელი მოხალისეების ეტაპობრივი ყოველწლიური გამოყვანა გაგრძელდება. ეს პროცესი დამთავრდება 1990 წელს. მაგრამ, ხაზი გაუსვეს საგარეო საქმეთა მინისტრებმა, თუ მტრული ძალები შეეცდებიან ვიეტნამელ მოხალისეთა გამოყვანა გამოიყენონ კამპუჩიის წინააღმდეგ ძირგამომთხრელი მოქმედების გაძლიერებისათვის, შესაბამის ღონისძიებებს განახორციელებენ.

ჰანოის კონფერენციაზე კვლავ გამოითქვა მზადყოფნა, კეთილმეზობლური ურთიერთობა ადადგინონ ჩინეთთან. ვიეტნამმა დაადასტურა, რომ გულწრფელად სურს გაანახლოს მოლაპარაკება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან ნებისმიერ დონეზე და ნებისმიერ ადგილას. ვიეტნამ-ჩინეთის დიალოგის პოზიტიური განვითარება უეჭველად სასიკეთო გავლენას მოახდენს არა მარტო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის, არამედ მთელი კონტინენტის ატმოსფეროზე.

ბოლო მოვლენების მთელი მიმდინარეობა კვლავ ადასტურებს, რომ აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში მიმდინარე პროცესები ბევრად განსაზღვრავენ მთლიანად მსოფლიოს ბედს. აი რატომ აქვს ასეთი დიდი მნიშვნელობა ჰანოის კონფერენციაზე მიღებულ კონკრეტულ გადაწყვეტილებებს.

პრესა ადასტურებს

აფართოებენ იდეოლოგიურ დივერსიებს

ნიუ-იორკი. ოფიციალური ვაშინგტონი არ იშურებს სახსრებს სსრ კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ იდეოლოგიური დივერსიების გასაფართოებლად. როგორც ჟურნალი „ბროდკასტინგი" იუწყება, ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესისა და რეგანის ადმინისტრაციის გავლენიანმა წევრებმა საერთაშორისო რადიომაუწყებლობის საბჭოს ხელმძღვანელობას, რომლის გამგებლობაშიც ფორმალურად შედიან „ამერიკის ხმის", „თავისუფლების" და „თავისუფალი ევროპის" ძირგამომთხრელი რადიოსადგურები, აღუთქვეს, რომ ისინი „არავითარ ფიხანსურ სიძნელეებს" არ წააწყდებიან ისრაელში იმ მძლავრი სარეტრანსლაციო კომპლექსის აშენებისას, რომელმაც გადაცემები უნდა აწარმოოს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ამავე დროს, აღნიშნავს ჟურნალი, ამ საქმეს დასჭირდება გვარიანი სახსრები — 200-დან 300-მდე მილიონი დოლარი. ვაშინგტონისა და თელ-ავივის მიერ პარაფირებული შეთანხმების შესაბამისად, ხუთი წლის მანძილზე ისრაელის სამხრეთ რაიონებში დაგეგმილია აშენდეს 16 გადამცემი, რომელთაგან თითოეულის სიმძლავრე 500 კილოვატს შეადგენს. ამ, როგორც „ბროდკასტინგი" აღნიშნავს, „დასავლეთში ყველაზე მძლავრ სარეტრანსლაციო კომპლექსს" საპაიო საწყისებით გამოიყენებენ, „ამერიკის ხმასთან" ერთად, „თავისუფლება" და „თავისუფალი ევროპა" სსრ კავშირის, აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტური ქვეყნების, აგრეთვე ავღანეთისა და აღმოსავლეთ აფრიკის სახელმწიფოების წინააღმდეგ ფსიქოლოგიური ომის საწარმოებლად. პირველი 40 მილიონი დოლარი ამ მიზნით უკვე შემოდგომაზე უნდა გამოიყოს.

ამასთან დაკავშირებით აქ აღნიშნავენ, რომ მარტო „ამერიკის ხმის" მოდერნიზაციისათვის რეგანის ადმინისტრაციამ უკვე 1,3 მილიარდი დოლარი გამოყო, რაც შეეხება „თავისუფლებას" და „თავისუფალ ევროპას", გაშინგტონს განზრახული აქვს მომავალ საფინანსო წელს მათ 167,5 მილიონი დოლარი გამოუყოს.

შემოხვევა

ავარია რკინიგზაზე

ნიუ-იორკი. ამერიკის შეერთებული შტატების ჩრდილოეთ-დასავლეთის ქალაქ ტროიში (მენტანის შტატი) მარცხი შეემთხვა სარკინიგზო შემადგენლობას, რომელსაც გადაჰქონდა ეთერი. როგორც ასოშიეიტედ პრესის საგენტო იუწყება, იგი გამოიწვია მისი ცისტერნებიდან გაჟონვამ და ქიმიური ნივთიერების აფეთქებამ. ავარიის შედეგად დაიღუპა რამდენიმე კაცი. ქალაქის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ევაკუირებულია. რამდენიმე საათით შეფერხდა აგრეთვე მოძრაობა ტროის ახლოს მდებარე ავტომაგისტრალზე.

საგზურნირო ორბიტა

ბაღრასი. გუშინ ქუთაისში დამთავრდა ქალთა საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალური შეჯიბრება. ამ ასპარეზობაში პირველ სამ ადგილზე გამოსულები ეუფლებიდნენ ფინალური ტურნირის საგზურებს. თბილისელმა ქეთევან არახამიამ 13 შესაძლებლიდან 9 ქულა დაგროვა და პირველი ადგილი დაიკავა. მეორე ადგილზე გამოვიდა ალმაათელი ფლორა უსკოვა — 8,5, მესამეზე — ქუთაისელი ჰენრიეტა ლაგვილავა — 8 ქულა. ამრიგად ქუთაისის ჯგუფიდან სწორედ ეს სანი მოუბრძოკე მიიღებს მონაწილეობას საკავშირო ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში.

ველოსპორტი. აშშ-ს გზებზე გრძელდება მრავალდღიანი ველოსიპედი, ბიგორ ბარაშოვის — განლაგებაში რაიმე სუსტი პუნქტი არა ყოფილა. 40 სვლის ნაცვლად მეტოქეებმა 43 სვლა გააკეთეს, მაგრამ დაფაზე რაიმე არსებითი ცვლილება არ მომხდარა. კასპაროვმა ჩაიწერა 44-ე სვლა და შეინარჩუნა, ასე ვთქვათ, სიმბოლური უპირატესობა. ექსპერტები ამ შეხვედრაში ყაიმს მოელიან.

მეათე პარტია

კასპაროვი — კარპოვი

ლაზიერის გამგბიტი

1. d4 d5 2. c4 e6 3. ∅c3 ♗e7 4. ♗f3 ∅f6 5. ♗g5 h6 6. ♗:f6 ♗:f6 7. e3 0-0 8. ♖c1 c6 9. ♗d3 ∅d7 10. 0-0 dc 11. ♗:c4 e5 12. h3 ed 13. ed c5 14. ♗b3 cd 15. ∅d5 b6 16. ∅:d4 ♗:d4 17. ♕:d4 ∅c5 18. ♗c4 ♗b7 19. ♖fd1 ♖c8 20. ♕g4 ♗:d5 21. ♖:d5 ♕e7 22. ♖cd1 ♕e4 23. ♕:e4 ∅:e4 24. ♗a6 ∅f6 25. ♗:c8 ∅:d5 26. ♗a6 ∅f6 27. f4 ♖e8 28. ∅gf2 ∅gf8 29. ∅gf8 ♖e7 30. ♖d8+ ♖e8 31. ♖:e8+ ∅:e8 32. ∅ge4 ∅ge7 33. ♗c4 ∅c7 34. ∅ge5 f6+ 35. ∅gf5 ∅e8 36. ∅ge4 ∅c7 37. h4 ∅gd6 38. ∅gf5 ∅ge7 39. ∅gg6 ∅gf8 40. ∅gf5 ∅ge7 41. ∅ge4 ∅gd6 42. g4 ∅ge7 43. b4 ∅gd6 პარტია გადაიდო.

გ. გამრეკელი.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

1982 წლის სახელმწიფო შინაგანი მოგებიანი სესხი

ქალაქ კრასნოდარში 1986 წლის 15 აგვისტოს გამართული 87-ე მოგებათა ტირაჟის ოფიციალური ცხრილი.

მოგება ხვდა სესხის ოცდათერთმეტივე თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით
200133	1—100	100	235341	050*)	1000	270273	042*)	1000
200365	1—100	100	238240	057*)	500	270324	1—100	100
201105	100*)	500	239615	018*)	500	272159	067*)	500
201447	004*)	500	240315	1—100	100	272623	1—100	100
203925	1—100	100	240621	047*)	2500	273255	087*)	500
204471	090*)	2500	241438	022*)	500	273620	071*)	1000
204850	080*)	2500	242041	056*)	1000	273949	1—100	250
205408	025*)	1000	242859	1—100	500	274272	093*)	2500
205435	1—100	100	243090	008*)	1000	274351	027*)	1000
206701	019*)	1000	243107	092*)	1000	277073	058*)	1000
207724	030*)	500	244232	1—100	250	277279	038*)	2500
208575	087*)	500	244352	043*)	1000	277309	1—100	100
210264	044*)	1000	245609	018*)	1000	277741	1—100	500
210969	016*)	1000	246167	1—100	100	278431	1—100	250
211947	040*)	1000	247443	1—100	100	278554	036*)	1000
212292	036*)	5000	248505	1—100	100	278722	077*)	1000
212889	093*)	2500	248587	1—100	100	278783	058*)	1000
213669	1—100	250	248680	022*)	2500	279310	1—100	100
214210	020*)	1000	249535	053*)	500	279524	094*)	500
214345	1—100	250	250150	093*)	500	279559	077*)	2500
214818	1—100	250	251002	076*)	10000	279958	1—100	250
215150	1—100	100	251337	1—100	100	280004	035*)	500
215542	1—100	100	251414	1—100	250	281005	079*)	500
218274	079*)	500	251992	029*)	500	281429	090*)	500
218876	020*)	2500	252407	034*)	1000	282573	1—100	100
218959	001*)	1000	252556	059*)	1000	282902	025*)	1000
219052	031*)	1000	252705	071*)	5000	283348	035*)	5000
219535	046*)	5000	252735	049*)	500	284292	047*)	500
219884	079*)	1000	253966	046*)	500	284329	064*)	500
220114	018*)	1000	254867	091*)	1000	284501	013*)	500
220120	1—100	100	254931	1—100	100	284776	064*)	2500
220420	099*)	1000	255150	027*)	500	284919	031*)	5000
220521	1—100	100	255343	015*)	1000	284939	024*)	1000
220868	049*)	1000	255355	086*	1000	286758	1—100	250
220917	007*)	1000	255527	090*)	1000	286950	1—100	250
220959	080*)	500	255746	046*)	1000	286994	014*)	1000
221262	089*)	500	255898	051*)	1000	288519	066*)	1000
221598	1—100	100	256405	089*)	1000	288616	016*)	1000
222088	058*)	1000	257206	009*)	500	288652	1—100	250
222329	014*)	500	258208	097*)	500	288684	033*)	1000
222687	1—100	100	259340	1—100	250	289352	1—100	250
222843	1—100	250	261112	1—100	250	289712	068*)	1000
222850	089*)	500	261134	088*)	500	289769	029*)	2500
222991	078*)	1000	261269	1—100	100	289957	1—100	100
223631	053*)	2500	262073	1—100	100	290459	1—100	100
223794	1—100	100	262396	071*)	2500	290838	1—100	100
223962	1—100	100	262488	088*)	1000	291116	1—100	100
224032	1—100	250	262503	1—100	250	292383	1—100	100
224075	053*)	500	262777	079*)	500	292389	033*)	500
225438	1—100	250	262866	003*)	500	293205	1—100	100
225963	004*)	500	263571	1—100	250	293845	1—100	100
227287	024*)	1000	264165	015*)	2500	293892	094*)	2500
228089	027*)	500	264160	063*)	1000	294342	078*)	2500
228131	1—100	100	265133	031*)	500	294408	099*)	500
228407	1—100	100	265136	039*)	500	294578	099*)	500
230422	013*)	500	265469	1—100	100	295036	051*)	500
230997	077*)	1000	265844	014*)	500	295068	080*)	2500
231228	1—100	100	266141	094*)	500	295331	1—100	250
231585	1—100	100	266229	070*)	1000	295427	096*)	2500
231628	060*)	2500	266419	026*)	1000	297950	024*)	1000
232535	014*)	1000	266794	1—100	100	298157	1—100	250
233257	1—100	250	267296	1—100	100	299034	034*)	500
233515	049*)	500	267579	1—100	100	299678	066*)	500
233685	1—100	250	268345	073*)	2500	299705	1—100	250
233770	008*)	1000	268505	082*)	500	299799	021*)	500
233869	006*)	1000	269966	033*)	1000	299909	028*)	500
235217	1—100	250	270234	1—100	100			

* ამ სერიის ობლიგაციების დანარჩენ 99 ნომერს ხვდა 100 მანეთი მოგება თითოეულს.

ცხრილში ნაჩვენებია ორმოცდაათმანეთიანი ობლიგაციების მოგებანი. ასმანეთიან ობლიგაციაზე 100, 250, 500 მანეთის თანაბარი ოდენობის მოგების შემთხვევაში მოგებული სერიის ყველა ნომერზე შესაბამისად გაიცემა 200, 500 და 1000 მანეთი. ასმანეთიანი ობლიგაციის ერთ-ერთ ნომერზე 500, 1000, 2500, 5000 და 10.000 მანეთის მოგების შემთხვევაში მეორე ნომერზე მოგება იქნება 100 მანეთი და ობლიგაციაზე შესაბამისად გაიცემა 600, 1100, 2600, 5100 და 10.100 მანეთი. 25-მანეთიანი ობლიგაციაზე გაიცემა ორმოცდაათმანეთიან ობლიგაციის ნომინალური ღირებულება.

ეს ცხრილი ოფიციალური დოკუმენტია, რომლითაც შემოწმდება ხალხური ბანკების მოგების დადგენილი წესით, გაზეთის მომდევნო ნომრის მიღების შემდეგ.

მოგებათა ტირაჟის მომწყობი კომისიის თავმჯდომარე — კრასნოდარის სახალხო დეპუტატთა სამხარეო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე რ. პ. სტეპანოვა.
კომისიის პასუხისმგებელი მდივანი ე. ი. დეიშოვა.

COMMUNISTI INDEKS 66434 უე 05769 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორკუსი, ბოზარაულის 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 XXIII

● ბაერთიანებული ერების ორგანიზაციაში

გაავრცელეს „დელის ექვსეულის" დოკუმენტები

ნიუ-იორკი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გენერალური ასამბლეისა და უშიშროების საბჭოს ოფიციალურ დოკუმენტად გავრცელეს იმ წერილის ტექსტი, რომელიც 1986 წლის 7 აგვისტოს გამოუგზავნეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს მ. ს. გორბაჩოვს არგენტინის პრეზიდენტმა რაულ ალფონსინმ, საბერძნეთის პრემიერ-მინისტრმა ანდრეას პაპანდრეუმ, ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა რაჯივ განდიმ, მექსიკის პრეზიდენტმა მიგელ დე ლა მადრიდმა, ტანზანიის პირველმა

მსოფლიოს ქალაქებში



ადრიატიკის მარგალიტი

ათონგით არხით დასერილი ვენეცია ზღაპრულად ლამაზი და მძიმედ „დაავადებულია". ადრიატიკის მარგალიტი ნელ-ნელა, მაგრამ გახუწყვეტლივ იძირება წყალში. ზღვა, რომელმაც იგი ოდესღაც საარაკოდ ააყვავა, ახლა დაღუპვის უქადის ქალაქს, მეხუთე საუკუნის შუა ხანებში 118 კუნძულზე რომ ააგეს.